პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი | № 54 (10448) | კვირა, 4 მარტი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

პარტიის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულების უმნიშვნელოვანესი პირობაა მშრომელთა უფართოეს მასებთან მთლიანად პარტიისა და ყოველი ცალკეული პარტიული ორგანიზაციის კავშირის შემდგომი გაძლიერება. ყრილობა პარტიული ორგანოების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა გაცხოველდეს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებისა და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობა, რათა გადაჭრით ამაღლდეს მათი როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მოსახლეობის ყოველდღიურ საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის რეზოლუციიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო.

განუხრელად ვზარდოთ შრომის ნაყოფიერება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, მთელი ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხებთან ერთად, უდიდესი აღფრთოვანებით და ღრმა მოწონებით შეხვდნენ საქართველოს მშრომელები. ყრილობამ ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების მთავარ ამოცანად მეექვსე ხუთწლედში დასახა მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ბაზაზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი ძლავრი ზრდის უზრუნველყოფა.

მეექვსე ხუთწლედში დაახლოებით 65 პროცენტით უნდა გაიზარდოს სამრეწველო პროდუქციის გამოშვება, რაც მიღწეულ იქნება უმთავრესად შრომის ნაყოფიერების გადიდების მეოხებით. პარტიის XX ყრილობის დირექტივებით მეექვსე ხუთწლედისათვის დაწესებულია მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების გადიდება სულ ცოტა 50 პროცენტით, რაც უნდა განხორციელდეს უმთავრესად შრომის ტექნიკური შეიარაღების ზრდით, გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვით, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ყოველმხრივ გაფართოებით, მოწყობილობის მოდერნიზაციით, საწარმოთა სპეციალიზაციისა და კოოპერირების ფართოდ განვითარებით და ამ საფუძველზე წარმოების ნაკადური მეთოდების დანერგვით, შრომის ორგანიზაციის ძირეული გაუმჯობესებით და სამუშაო დროის დანაკარგების ლიკვიდაციით, აგრეთვე დამხმარე სამუშაოებზე შრომის ხარჯვის შემცირებით.

საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა საშუალებას მოგვცემს მეექვსე ხუთწლედის განმავლობაში დაახლოებით 60 პროცენტით გავადიდოთ ნაციონალური შემოსავალი. ამ საფუძველზე დირექტივებში დასახულია მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის გადიდება საშუალოდ 30 პროცენტით და კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავლის ზრდა სულ ცოტა 40 პროცენტით.

საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი დიდი ლენინი მუდამ აღნიშნავდა შრომის ნაყოფიერების ზრდის უდიდეს მნიშვნელობას სოციალისტური მშენებლობისათვის. იგი გვასწავლიდა, რომ შრომის ნაყოფიერება ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად. კაპიტალიზმმა შექმნა შრომის ნაყოფიერება, რომელიც გაუგონარი იყო ბატონყმობის დროს. კაპიტალიზმი შეიძლება საბოლოოდ დამარცხდეს და კიდევაც დამარცხდება საბოლოოდ იმით, რომ სოციალიზმი ქმნის შრომის ახალ, გაცილებით უფრო მაღალ ნაყოფიერებას.

პარტიის XX ყრილობაზე აღინიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში, სოციალისტური წარმოების ვითარებაში შექმნილია ყველა პირობა შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდისათვის, რაც საზოგადოებრივი სიმდიდრის დაგროვების, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლების მნიშვნელოვანი საწინდარია.

მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის მხრივ საბჭოთა კავშირი დიდად უსწრებს წინ კაპიტალისტურ ქვეყნებს. მეოთხედი საუკუნის განმავლობაში 1928-დან 1953 წლამდე შრომის ნაყოფიერება სსრ კავშირის მრეწველობაში დაახლოებით ექვსჯერ გადიდდა. კიდევ უფრო საგრძნობლად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება მეხუთე ხუთწლედის ბოლოსათვის.

უეჭველია, ეს სერიოზული წარმატებაა, მაგრამ საბჭოთა ადამიანები ამით ვერ დაკმაყოფილდებიან. კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში ჩვენ ისტორიულად უმოკლეს ვადაში უნდა გადავჭრათ ძირითადი ეკონომიური ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. ამ ისტორიული ამოცანის გადასაჭრელად საჭიროა კვლავაც განუხრელად ვზარდოთ შრომის ნაყოფიერება.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულმა ჩვენი სოციალისტური მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე განაღდებისათვის გადიდებული საწარმოო ვალდებულებები იკისრეს. პირველი ამ ვალდებულებათა შორის არის ახალი ხუთწლედის პირველი წლის — 1956 წლის გეგმის წარმატებით შესრულების უზრუნველყოფა, ტექნიკური პროგრესის განვითარებისა და შრომატევადი პროცესების მექანიზაციის განხორციელების, წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების საფუძველზე შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ზრდის მიღწევა.

რუსთავის მეტალურგებმა იკისრეს წელს შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა სულ ცოტა 1 პროცენტის გადამეტებით შეასრულონ. ამ ვალდებულების მნიშვნელობა ჩვენთვის ცხადი გახდება, თუ ვიტყვით, რომ მისი გაღიდების საფუძველზე ჩვენი სახელმწიფო მეტალურგები წელს სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცემენ რამდენიმე ათას ტონა კოქსს, ფოლადს, ნაგლინს და ლითონის მილებს.

მრავალი ათეული ათასი ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცის მადნის ამოღება იკისრეს წელს გეგმის გადამეტებით ჭიათურელმა მაღაროელებმა. მათ მაგალითს მიბაძეს ჩვენმა მეშახტეებმა.

ავჭალელმა ფოლად-თუჯის მსხმელებმა ვალდებულება აიღეს წლის ბოლომდე 13,5 პროცენტით გაადიდონ ყოველ კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობზე პროდუქციის გამოშვება და 2,6 პროცენტის გადამეტებით შეასრულონ შრომის ნაყოფიერების ზრდის 1956 წლის დავალება. რესპუბლიკის ტყავგადასამუშავებელი მრეწველობის წამყვანი საწარმოს — თბილისის ტყავის პირველი ქარხნის კოლექტივმა იკისრა წელს შარშანდელ დონესთან შედარებით 15 პროცენტით გაადიდოს შრომის ნაყოფიერება.

გადიდებული საწარმოო ვალდებულები იკისრეს მძიმე მრეწველობის სხვა დარგების საწარმოთა კოლექტივებმა, ზესტაფონელმა მეტალურგებმა, ქუთაისელმა ავტომობილმშენებლებმა, აგრეთვე მსუბუქი, საფეიქრო, კვების, საშენ მასალათა მრეწველობის და ტრანსპორტის საწარმოთა კოლექტივებმა.

მთავარი ამოცანა, რომელიც ახლა მრეწველობის ცალკეული დარგებისა და საწარმოების სამეურნეო, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ეკისრებათ, ის არის, რომ სათავეში ჩაუდგნენ მასების შრომითს აქტივობას და ყველა პირობა შეუქმნან მუშათა კოლექტივებს აღებულ ვალდებულებათა, კერძოდ, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად. ეს პირობებია შრომის სწორი ორგანიზაციის უზრუნველყოფა, კადრების კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი ტექნიკის დანერგვა, მასების შემოქმედებითი ინიციატივისათვის ფართო გასაქანის მიცემა, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა წახალისება.

ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისათვის, 1956 წლის — მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის!

მოსკოვში ჩამოვიდა დანიის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ხ. კ. ჰანსენი

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 2 მარტს მოსკოვში ჩამოვიდა დანიის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ხ. კ. ჰანსენი მეუღლითურთ. მასთან ერთად ჩამოვიდნენ განათლების მინისტრი ი. ბომჰოლტი მეუღლითურთ, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. სვენინგსენი, დანიის დესპანი იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში რ. კიერი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგე ს. ა. კრისტენსენი, საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანი ბ. ოლსენი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიური განყოფილების პასუხისმგებელი თანამშრომელი ხ. ე. ტრანე და დანიელ ჟურნალისტთა ჯგუფი.

ამავე დროს მოსკოვში ჩამოვიდა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დანიაში ნ. ვ. სლავინი.

დანიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე დანიის პრემიერ-მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრს ხ. კ. ჰანსენს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის მინისტრები ს. ფ. ანტონოვი, ვ. გ. ბაკაევი, ი. ა. ბენედიქტოვი, ი. გ. კაბანოვი, ვ. ვ. მაცკევიჩი, ნ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ა. გრომიკო და ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო-საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს უფროსი ს. თ. ჟავორონკოვი, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სკანდინავიის ქვეყნების განყოფილების გამგე მ. გ. გრიბანოვი, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს დასავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის სამმართველოს უფროსი ნ. ი. ჩეკლინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარაბრინი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ლ. ფ. ტეპლოვი, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

დანიის პრემიერ-მინისტრს და საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდნენ დანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ა. მიორკი და საელჩოს თანამშრომლები, აგრეთვე სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

... ნ. ა. ბულგანინი და ვ. მ. მოლოტოვი მიდიან თვითმფრინავთან. ხ. კ. ჰანსენი და მისი თანმხლები პირები მეგობრულად ართმევენ ხელს ნ. ა. ბულგანინსა და ვ. მ. მოლოტოვს. შემდეგ ხ. კ. ჰანსენს წარუდგინეს აეროდრომზე შეხვედრის დროს მყოფი საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეები, აგრეთვე დიპლომატიური კორპუსის წევრები.

დანიის პრემიერ-მინისტრისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ხ. კ. ჰანსენის შეხვედრის დროს აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შეასრულეს დანიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომზე მიკროფონთან ხ. კ. ჰანსენმა წარმოთქვა სიტყვა:

ხ. კ. ჰანსენის სიტყვა

— ბატონო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე!

ჩემთვის დიდი სიხარულია საბჭოთა კავშირში ჩამოსვლა და გულითად მადლობას ვუძღვნი საბჭოთა მთავრობას თავაზიანი მოწვევისათვის.

ჩვენ გვიხარია, რომ მომავალ დღეებში პირად შთაბეჭდილებებს მივიღებთ თქვენი ვრცელი ქვეყნისაგან და გავეცნობით საბჭოთა ხალხის ცხოვრებას.

მე პირველად ვარ საბჭოთა კავშირში და უწინარეს ყოვლისა მინდა დანიის მთავრობისა და დანიელი ხალხის მადლობა ვუძღვნა საბჭოთა ხალხს მისი გმირობისათვის, რომელიც ნაცისმის წინააღმდეგ ომის დროს გამოიჩინა. დანიელი ხალხი არ დაივიწყებს საბჭოთა ხალხის გმირობას, მსხვერპლსა და განსაცდელს, მის წვლილს ომის ძლევამოსილი დამთავრების და ამით დანიის განთავისუფლების უზრუნველსაყოფად.

ჩვენი ორი ქვეყანა უშუალო მეზობლები არ არიან. მაგრამ ბალტიის ზღვა აკრავს როგორც დანიის ნაპირებს, ისე საბჭოთა კავშირის ნაპირებს. და ჩვენს ტექნიკის საუკუნეში მანძილი ქვეყნებს შორის სულ უფრო მოკლდება. დანიას მთელი თავისი ისტორიის მანძილზე გაცხოველებული და მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდა სხვა სახელმწიფოებთან. ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პირობები და შეხედულებათა ერთობა — ყოველივე ეს, ბუნებრივია, გვაახლოებდა სხვა ხალხებთან. ამაში დიდი როლი შეასრულა ჩვენმა ნაოსნობამაც. ამ უკანასკნელ ხანს პირადი ურთიერთობა განვითარდა დანიასა და საბჭოთა კავშირს შორის. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ორივე ქვეყნის სასარგებლო იქნება, ხოლო ურთიერთ გულახდილობას მეტი ურთიერთგაგება მოჰყვება. სწორედ ასე მაქვს წარმოდგენილი ჩემი სტუმრობა საბჭოთა კავშირში, რაც დღეს იწყება. ვფიქრობ, რომ საბჭოთა კავშირში ჩვენი ჩამოსვლა ხელს შეუწყობს კარგი ურთიერთობის განმტკიცებას, რაც ისტორიულად არსებობს ჩვენს ქვეყნებს შორის.

ყველასთვის ცნობილია და დასამალავი არ არის, რომ საბჭოთა კავშირისა და დანიის მთავრობებს სხვადასხვა შეხედულება აქვთ მთელ რიგ დიდ სამშვიდობო და საერთაშორისო პრობლემებზე. მაგრამ სსრ კავშირიც და დანიაც შედიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და პირობა აქვთ დადებული მიაღწიონ დიად მიზნებს, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პაქტი ისახავს, — მშვიდობას, უშიშროებასა და თავისუფლებას. საბჭოთა მთავრობასაც და დანიის მთავრობასაც სურთ საუკეთესო და უაღრესად მეგობრული ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის.

ბატონო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეო, ერთხელ კიდევ გიძღვნით მადლობას იმისათვის, რომ საბჭოთა მთავრობამ მოგვიწვია საბჭოთა კავშირში. უაღრესად გულწრფელად ვუსურვებთ მშვიდობასა და პროგრესს ჩვენს ორივე ხალხს. (საკდესი).

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო დანიის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ხ. კ. ჰანსენი

1956 წლის 2 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო დანიის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი ხ. კ. ჰანსენი.

საუბარში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა.

პრემიერ-მინისტრს ხ. კ. ჰანსენს ახლდნენ დანიის განათლების მინისტრი ბ-ნი ი. ბომჰოლტი, დანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ა. მიორკი, დანიის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი იუგოსლავიაში ბ-ნი რ. კიერი, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. სვენინგსენი.

დარბაზობას დაესწრნენ სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დანიაში ნ. ვ. სლავინი და დანიაში სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველი ა. ს. კაპლინი. (საკდესი).

კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო დანიის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ხ. კ. ჰანსენი

3 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო დანიის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ხ. კ. ჰანსენი.

პრემიერ-მინისტრ ხ. კ. ჰანსენს ახლდნენ დანიის განათლების მინისტრი ი. ბომჰოლტი, დანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ა. მიორკი, დანიის დესპანი იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში რ. კიერი, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. სვენინგსენი.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დანიაში ნ. ვ. სლავინი, დანიაში სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველი ა. ს. კაპლინი. (საკდესი).

ნ. ა. ბულგანინის, ნ. ს. ხრუშჩოვის, ა. ი. მიქოიანისა და ვ. მ. მოლოტოვის საუბარი დანიის პრემიერ-მინისტრთან და საგარეო საქმეთა მინისტრ ხ. კ. ჰანსენთან

3 მარტს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ს. ხრუშჩოვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. მიქოიანისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ვ. მ. მოლოტოვის საუბარი დანიის პრემიერ-მინისტრთან და საგარეო საქმეთა მინისტრ ხ. კ. ჰანსენთან.

საუბარს დაესწრნენ: დანიის მხრივ — განათლების მინისტრი ი. ბომჰოლტი, დანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ა. მიორკი, დანიის დესპანი იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში რ. კიერი, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. სვენინგსენი, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგე ს. ა. კრისტენსენი, საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანი ბ. ოლსენი, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიური განყოფილების პასუხისმგებელი თანამშრომელი ჰ. ე. ტრანე და პრემიერ-მინისტრის პირადი მდივანი ჰ. ს. მელერი; საბჭოთა მხრივ — საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დანიაში ნ. ვ. სლავინი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სკანდინავიის ქვეყნების განყოფილების გამგე მ. გ. გრიბანოვი.

(საკდესი).

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო დანიის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ხ. კ. ჰანსენი

2 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო დანიის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ხ. კ. ჰანსენი.

პრემიერ-მინისტრ ჰანსენს ახლდნენ განათლების მინისტრი ი. ბომჰოლტი, დანიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ა. მიორკი, დანიის დესპანი იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში რ. კიერი და დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ნ. სვენინგსენი.

დარბაზობას დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის ელჩი დანიაში ნ. ვ. სლავინი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სკანდინავიის ქვეყნების განყოფილების გამგე მ. გ. გრიბანოვი. (საკდესი).

მის აღმატებულებას ბატონ

კ. ე. ვოროშილოვს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი.

გთხოვთ, ბატონო თავმჯდომარეო, მიიღოთ ჩემი გულწრფელი მადლობა თქვენი გულითადი მოლოცვისა და სურვილებისათვის იმასთან დაკავშირებით, რომ მე დავიკავე ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა.

ნება მიბოძეთ, ბატონო თავმჯდომარეო, გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ მეგობრული კეთილმეზობლური ურთიერთობა, რაც ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დამყარდა მეგობრობის, ნდობისა და თანამშრომლობის ურთიერთ პოლიტიკის მეოხებით, მომავალშიც შენარჩუნებულ იქნება ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ და მსოფლიოს ჩვენს ნაწილში მშვიდობის განსამტკიცებლად.

ვსარგებლობ შემთხვევით, ბატონო თავმჯდომარეო, და საუკეთესო წარმატებებს გისურვებთ პირადად თქვენ და აყვავებას ვუსურვებ საბჭოთა კავშირის ხალხებს.

ურჰო კეკონენი,
ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

1956 წლის 2 მარტი.

მის აღმატებულებას ბატონ

კ. ე. ვოროშილოვს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი.

დიდად მასიამოვნა თქვენმა ჩემდამი გამოთქმულმა გულითადმა მეგობრულმა გრძნობებმა და თქვენმა კეთილმა სურვილებმა იმასთან დაკავშირებით, რომ მე დავტოვე ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტი. გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ, ბატონო თავმჯდომარეო, თქვენი გულთბილი მგრძნობიარე სიტყვებისათვის, მახარებს თქვენი შეფასება ჩემი მოღვაწეობისა ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების დასაახლოებლად.

მე, ისევე როგორც თქვენ, ბატონო თავმჯდომარეო, მტკიცედ მწამს, რომ ურთიერთნდობის, მჭიდრო თანამშრომლობისა და მეგობრობის ურთიერთობა ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მომავალშიც შენარჩუნებულ იქნება.

ნება მიბოძეთ, ბატონო თავმჯდომარეო, სულით და გულით გისურვოთ თქვენ როგორც პირადი ბედნიერება, ისე შემდგომი წარმატებანი თქვენს ძვირფას მოღვაწეობაში საბჭოთა კავშირის ხალხების საკეთილდღეოდ.

ღრმა პატივისცემით
პაასიკივი.

1956 წლის 2 მარტი.

ქართულ ენაზე ბროშურად გამოიცა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XX ყრილობას

სახელგამმა ქართულ ენაზე ბროშურად გამოუშვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XX ყრილობას.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საკდესი).

აღბანეთში გამოიცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XX ყრილობას

ტირანა, 2 მარტი. (საკდესი). სახელმწიფო გამომცემლობამ ალბანურ ენაზე გამოსცა ბროშურა: ნ. ს. ხრუშჩოვი „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება პარტიის XX ყრილობას“.

ბროშურა გამოვიდა 10 ათასი ცალი ტირაჟით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

კამათი ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გამო. სკკპ XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ

ამხანაგ მ. გ. პეტრუხინის სიტყვა

ამხანაგებო! ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის მოხსენებებში მოცემულია იმ გზის ღრმა ანალიზი, რომელიც საბჭოთა კავშირმა გასულ ხუთწლედში განვლო, და მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის საფუძველზე მკაფიოდ განსაზღვრულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მთავარი ამოცანები და პერსპექტივები კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე.

დირექტივების საფუძველზე, რომლებსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა დაამტკიცებს, შემუშავდება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმა. ეს იქნება გეგმა ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლისა კომუნიზმისაკენ.

მეექვსე ხუთწლედის განხორციელების შედეგად ჩვენი სამშობლო სავსებით შეიცვლის სახეს, კიდევ უფრო მდიდარი და ძლიერი გახდება, მნიშვნელოვნად ამაღლდება ხალხის კულტურა და კეთილდღეობა. ჩვენ მნიშვნელოვან ნაბიჯს გადავდგამთ იმ ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტის საქმეში, რომ დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

ჩვენი პარტია, ისევე როგორც წინა წლებში, სათავეში ჩაუდგება მშრომელი მასების ბრძოლას მეექვსე ხუთწლედის წარმატებით განხორციელებისათვის, და ჩვენ ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ მეექვსე ხუთწლიანი გეგმა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულდება.

დირექტივების პროექტში გათვალისწინებულია წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდა 70 პროცენტით, ხოლო მოხმარების საგნების წარმოებისა — 60 პროცენტით. ეს სავსებით კანონზომიერია და იმას როდი ნიშნავს, რომ მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარება ჩვენში მეორეხარისხოვანი ამოცანაა.

მეექვსე ხუთწლედში მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ბაზაზე უზრუნველყოფილ იქნება სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მძლავრი ზრდა, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა და ამ საფუძველზე საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება.

საბჭოთა ადამიანებისათვის ეს ნათელი და აშკარა დებულება გამომდინარეობს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებიდან და სოციალისტური მშენებლობის მთელი გამოცდილებიდან.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის შრომებში ღრმად და საფუძვლიანად არის ნაჩვენები, რომ მხოლოდ მძლავრი მძიმე ინდუსტრია, მთელი ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია და ტექნიკის განუწყვეტელი განვითარება შეიძლება იყოს სოციალისტური მეურნეობის ზრდის მტკიცე საფუძველი.

ჩვენი პარტია ყოველთვის განუხრელად ხელმძღვანელობდა ამ მოძღვრებით და მტკიცედ იბრძოდა და იბრძვის ლენინიზმის სულისკვეთებისადმი მტრულ შეხედულებათა წინააღმდეგ, სახელდობრ მსუბუქი და მძიმე მრეწველობის დაპირისპირებისა და იმის წინააღმდეგ, რომ თითქოს სოციალისტური მშენებლობის რომელიღაც ეტაპზე მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარება აღარ იქნება მთავარი ამოცანა და რომ მსუბუქი მრეწველობის ზრდის ტემპები გაუსწრებს მძიმე ინდუსტრიის ზრდის ტემპებს.

ჩვენდამი მტრულად განწყობილი ბურჟუაზიული პრესა და რადიო ცდილობენ ყოველნაირად გაუტეხონ სახელი კეთილშობილურ ამოცანებს, რომლებიც საბჭოთა ხალხის წინაშე დასახულია მეექვსე ხუთწლედში.

მაგალითად, ლონდონის გაზეთი „ტაიმსი“, აღნიშნავს რა, რომ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის მთავარი ამოცანაა მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარება, არწმუნებს თავის მკითხველებს, რომ სსრ კავშირში მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება თითქოს „გადადებულია“.

არა გვგონია, რომ საბჭოთა კავშირში, ან თუნდაც ჩვენს მეგობრებს შორის საზღვარგარეთ მოინახონ ისეთი ადამიანები, რომლებიც სერიოზულად მიიჩნევენ ასეთ მტკიცებას.

წინა ხუთწლიანი გეგმების შესრულების შედეგები დამაჯერებლად ადასტურებენ ჩვენი პარტიის იმ ხაზის სისწორეს, რომ უპირატესად განვითარდეს მძიმე მრეწველობა, რომელიც უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ზრდას და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელ გაუმჯობესებას.

წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა გაფართოებული კვლავწარმოების უმნიშვნელოვანესი პირობაა. „წარმოების გასაფართოებლად („დასაგროვებლად“ — ამ ტერმინის კატეგორიული მნიშვნელობით), — აღნიშნავდა ლენინი, — საჭიროა შეექმნას ჯერ წარმოების საშუალებანი, ამისათვის კი საჭიროა, მაშასადამე, გაფართოვდეს საზოგადოებრივი პროდუქციის ის განყოფილება, რომელიც წარმოების საშუალებებს ამზადებს“. (თხზ., ტ. 2, გვ. 176-177).

თუ მძიმე მრეწველობა უფრო სწრაფად არ განვითარდა, საჭირო რაოდენობით არ გვექნება სათბობი, ლითონი, ელექტროენერგია, მანქანები, უამისოდ არ შეიძლება საჭირო მოცულობით გვქონდეს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ნედლეული სახალხო მოხმარების საქონლის საწარმოებლად.

მაშასადამე, მეექვსე ხუთწლედის იმ ძირითადი ამოცანის გადაწყვეტა, რომ მნიშვნელოვნად ავამაღლოთ საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და მისი კულტურის დონე, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია მძიმე მრეწველობის განვითარებაზე.

მეექვსე ხუთწლედი იქნება უმაგალითო ტექნიკური პროგრესის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ახალი ტექნიკის დანერგვის ბაზაზე ყველა ხარისხობრივ მაჩვენებელთა სერიოზული ამაღლების ხუთწლედი. არც ამ ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება, თუ უფრო სწრაფად არ განვითარდა წარმოების საშუალებათა წარმოება.

ტექნიკური პროგრესი ახალ ხუთწლედში განისაზღვრება მოწყობილობის გაუმჯობესებით, რომელიც უნდა გამოუშვას მანქანათმშენებლობამ, ახალი ქიმიური მასალების წარმოებით, ფერადი და იშვიათი ლითონების, ხარისხოვანი ფოლადებისა და სიცხეგამძლე შენადნობთა წარმოების განვითარებით. მაშასადამე, ტექნიკური პროგრესის ამოცანას ელექტროფიკაციასთან ერთად გადაწყვეტენ, უწინარეს ყოვლისა, მანქანათმშენებლობა, მეტალურგია და ქიმია.

მაშ რა მთავარი ამოცანები უნდა გადაწყვიტოთ მძიმე მრეწველობის ცალკეულ დარგებში, რათა უზრუნველვყოთ ახალი ხუთწლედის წარმატებით შესრულება?

მეექვსე ხუთწლედში სამრეწველო პროდუქციის გამოშვება გაიზრდება არა მარტო ახალ სიმძლავრეთა ამუშავებით, არამედ მნიშვნელოვანწილად აგრეთვე არსებული მოწყობილობის უკეთ გამოყენების, მოძველებული მოწყობილობის უფრო მეტი წარმადობის მოწყობილობით შეცვლისა და ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაციის გზით. ამავე დროს განხორციელდება ძირითად და დამხმარე შრომატევად სამუშაოთა შემდგომი მექანიზაცია. ფართოდ განვითარდება მექანიზაციის უმაღლესი საფეხური — წარმოების პროცესების ავტომატიზაცია.

მეტალურგიაში, ქიმიაში, მანქანათმშენებლობასა და მრეწველობის სხვა დარგებში ფართოდ იქნება გამოყენებული ყველაზე სრულყოფილი ელექტროტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც ემყარება ელექტროდენის ქიმიურ და თერმულ მოქმედებას.

განხორციელდება რკინიგზის ტრანსპორტის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის დიდი პროგრამა.

მნიშვნელოვნად გაიზრდება ელექტროენერგიის გამოყენება მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით მეექვსე ხუთწლედის დამლევისათვის ელექტროენერგიის მოხმარება 1955 წელთან შედარებით გაიზრდება: მრეწველობაში — თითქმის 2-ჯერ, სოფლის მეურნეობაში — 2,2-ჯერ, რკინიგზის ტრანსპორტზე — 2,3-ჯერ.

აქედან გამომდინარეობს, რომ ენერგეტიკის მთავარი ამოცანაა უზრუნველყოს ელექტროსადგურთა მშენებლობის უფრო სწრაფი ტემპები.

კაპიტალური დაბანდებანი ელექტროსადგურთა და ელექტროქსელთა მშენებლობაში მეექვსე ხუთწლედში გადიდდება დაახლოებით 90 პროცენტით მეხუთე ხუთწლედის დანახარჯებთან შედარებით. ელექტროსადგურთა სიმძლავრეები გაიზრდება 2,2-ჯერ, ამასთან გადიდდება ელექტროენერგიის წარმოება 88 პროცენტით. ამავე დროს გაიზრდება სიმძლავრეთა რეზერვები ძირითად ენერგოსისტემებში, რაც მნიშვნელოვნად გაადიდებს სახალხო მეურნეობის ელექტრომომარაგების საიმედოობას.

მეექვსე ხუთწლედში გათვალისწინებულია დიდი ჰიდრავლიკური ელექტროსადგურებისა და თბოელექტროსადგურების აგება.

წინა ხუთწლედებში ენერგეტიკის სიმძლავრეთა ზრდის გეგმები მთლიანად არ სრულდებოდა. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ერთ დროს მიღებულ იქნა არასწორი გადაწყვეტილება მცირეაგრეგატიან შეზღუდული სიმძლავრის რაიონულ ელექტროსადგურთა მშენებლობის შესახებ. 1938-1942 წლებში რაიონულ თბოელექტროსადგურებზე დადგმული ერთი ტურბინაგრეგატის საშუალო სიმძლავრემ შეადგინა 26 ათასი კილოვატი, 1946-1950 წლებში „იგი შემცირდა 24 ათას კილოვატამდე, მეხუთე ხუთწლედში კი გადიდდა მხოლოდ 34 ათას კილოვატამდე.

ელექტროსადგურთა მშენებლობაში ასეთი ხაზი სწორი არ არის. ეს რომ ცხადყოთ, ავიღოთ, მაგალითად, ურალის ენერგოსისტემა, რომლის ელექტროსადგურთა საერთო სიმძლავრე შეადგენს 4.400 ათას კილოვატს. თუ ყოველწლიურად 600-700 ათასი კილოვატით გავადიდეთ საჭირო სიმძლავრე, ძნელია უზრუნველვყოთ ელექტროსადგურთა დაწესებული სიმძლავრის შესაბამისი ზრდა, თუ იქ იქნება 25 და თუნდაც 50 ათასკილოვატიანი აგრეგატები, როგორც ეს ხდებოდა ამ ცოტა ხნის წინათ. ასეთ დიდ ენერგოსისტემაში

მშენებლობის პროცესში მყოფ ელექტროსადგურებზე უნდა დაიდგას 100-200 ათასი კილოვატი სიმძლავრის აგრეგატები.

თვითონ ელექტროსადგურთა სიმძლავრეების შერჩევის დროს უნდა გავითვალისწინოთ ენერგეტიკის განვითარების მასშტაბები, ენერგოსისტემათა გაერთიანების პერსპექტივები, რაიონის მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამის შესაბამისად განვსაზღვროთ ელექტროსადგურის დაპროექტებული სიმძლავრე და იქ დასადგმელი თვითეული აგრეგატის სიმძლავრე.

ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ თბოელექტროსადგურთა სიმძლავრეების გადიდება, მაგალითად, 300 ათასი კილოვატიდან 600 ათას კილოვატამდე სამუალებას მოგვცემს 15-20 პროცენტით შევამციროთ დანახარჯები ერთ დაწესებულ კილოვატზე, ხოლო 1.200 ათასი კილოვატი სიმძლავრის ელექტროსადგურთა აგების დროს — 25-30 პროცენტით.

ამიტომ დირექტივების პროექტით სავსებით სწორად არის გათვალისწინებული მძლავრი ელექტროსადგურების მშენებლობა, ისე რომ იქ დაიდგას 100, 150, 200 და 300 ათასკილოვატიანი დიდი აგრეგატებიც კი და შესაბამისი სიმძლავრის ქვაბები, და დასახულია მშენებლობა განხორციელდეს ტექნიკურად ყველაზე სრულყოფილი ბლოკის სქემით — ქვაბი-ტურბინი.

ელექტროსადგურებში ასეთი დიდი აგრეგატების გამოყენება მით უფრო მიზანშეწონილია, რომ ამით შესაძლებელი გახდება გავადიდოთ ტურბინების, ქვაბებისა და ელექტრომანქანების მწარმოებელი ქარხნების სიმძლავრენი. მაგალითად, ლენინგრადის ლითონის ქარხანაში 25 ათასი კილოვატი სიმძლავრის ტურბინების წარმოების ნაცვლად 100, 150 და 200 ათასი კილოვატი სიმძლავრის ტურბინების წარმოების შემოღებით, გამოშვებული ტურბინების საერთო სიმძლავრე 2,5-ჯერ გადიდდება.

ქარხანა „ელექტროსილაში“ 100-ათასკილოვატიანი ერთი ტურბინგენერატორის გასაკეთებლად საჭიროა 25-30 პროცენტით ნაკლები ჩარხსაათი, ვიდრე 25-ათასკილოვატიანი 4 ტურბინგენერატორის გასაკეთებლად.

ამ ხუთწლედში თბოელექტროსადგურებში საჭიროა დაიდგას ორთქლის კიდევ უფრო მაღალი პარამეტრების მოწყობილობა იმასთან შედარებით, რომელსაც ახლა ვიყენებთ. თუ რას ნიშნავს ეს ეკონომიურად, ჩანს შემდეგი მონაცემებით: ტურბინების ორთქლის წნევის გადიდება 90 ატმოსფეროდან 135 ატმოსფერომდე და ტემპერატურისა 500 გრადუსიდან 535 გრადუსამდე ცელსიუსით სათბობის ხვედრითის ხარჯვას ელექტროენერგიის გამომუშავებაზე ამცირებს 10-12 პროცენტით; თუ შემოვიღებთ კიდევ უფრო მაღალ წნევას — 220 ატმოსფეროს და 600 გრადუს ტემპერატურას, სათბობის ხვედრითი ხარჯვა 14-15 პროცენტით შემცირდება. აი რა დიდი საგრგებლობის მიღება შეუძლია სახელმწიფოს ენერგეტიკაში ახალი ტექნიკის დანერგვით.

მეექვსე ხუთწლედში ახალი მაღალეკონომიური ელექტროსადგურების აგებასთან ერთად საჭიროა მოვახდინოთ პირველ ხუთწლედებში აგებული მთელი რიგი ელექტროსადგურების რეკონსტრუქცია.

რეკონსტრუქცია შეიძლება განხორციელდეს ძირითადად არსებულ შენობებში მცირე გადაკეთებით და იმ გზით, რომ ნაწილობრივ შევცვალოთ დაბალი წნევის ქვაბები და ტურბინები მაღალი წნევის აგრეგატებით. ამასთან ელექტროსადგურების სიმძლავრე პრაქტიკულად გადიდდება დიდი დამატებითი ხარჯების გაუწევლად წყალმომარაგებასა და სათბობის მიწოდებაზე და დამატებითი პერსონალის გამოუყენებლად. ამასთან მნიშვნელოვნად შემცირდება სათბობის ხარჯვა ელექტროენერგიის წარმოებაზე. 25 ელექტროსადგურისათვის გაკეთებული გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ ამ ელექტროსადგურთა სიმძლავრე რეკონსტრუქციის შემდეგ შეიძლება გავადიდოთ 1,5 მილიონი კილოვატით და მეტად, ანუ 35 პროცენტით, სათბობის წლიური ეკონომია მიაღწევს 3 მილიონ ტონას, ხოლო მოქმედი ნაწილის რეკონსტრუქციისათვის გაწეული დამატებითი დანახარჯი ანაზღაურდება ორი, სულ ბევრი 4 წლის განმავლობაში.

ახალ ხუთწლედში სსრ კავშირის ელექტროფიკაციის განვითარება უნდა მიმდინარეობდეს არა მარტო მსხვილი სამრეწველო ცენტრების ელექტროენერგიით უზრუნველყოფის მიმართულებით, არამედ ენერგოსისტემებთან ახალი ოლქების, რაიონებისა და ქალაქების შეერთების გზითაც.

ამჟამად, როცა გვაქვს მსხვილი ენერგეტიკული სისტემები, მთელი რიგი საოლქო და რაიონული ქალაქები, რომლებსაც აქვთ ნედლეულის საჭირო რესურსები და ჰყავთ მუშახელი, ნელა ვითარდება ელექტროენერგიის ნაკლებობის გამო. მაგალითად, ისეთი საოლქო ცენტრები, როგორიც არის ვოლოგდა, ბალაშოვი, კიროვოგრადი, ხერსონი, გროდნო და ბევრი სხვა, წვრილი კომუნალური და სამრეწველო ელექტროსადგურებისაგან იღებენ ძვირად ღირებულ ელექტროენერგიას და არასაკმაო რაოდენობით. საიმედო ენერგეტიკული ბაზის უქონლობა აფერხებს ამ ქალაქებისა და ოლქების მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ახალ ხუთწლედში საჭიროა დავიწყოთ ელექტროფიკაციის ამ „თეთრი ლაქების“ ლიკვიდაცია და გავაფართოოთ ელექტროქსელები, ისე რომ თანდათანობით შევუერთოთ დიდ სახელმწიფო ენერგოსისტემებს ახალი ქალაქები და სასოფლო-სამეურნეო რაიონები. სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის შექმნა უთუოდ შეუწყობს ხელს ამ ამოცანის გადაწყვეტას.

შორ ელექტროგადაცემათა მშენებლობის გეგმების შემუშავებისას საჭიროა უფრო გაბედულად გამოვიყენოთ მუდმივი ელექტროდენი ნაცვლად ცვლადისა. განსაკუთრებით მიზანშეწონილია მუდმივი დენი გამოვიყენოთ იმ გადაცემათა ხაზებისათვის, რომლებიც აერთებენ ცალკეულ დიდ ენერგოსისტემებს, რადგან ამ დროს აღვილდება ერთიანი ენერგოსისტემის მუშაობის მეტი სიმყარის უზრუნველყოფა, ხოლო, გარდა ამისა, გადაცემის დროს მცირდება ენერგიის დანაკარგები 3-4 პროცენტით და მცირდება ფერადი ლითონების ხარჯვა.

ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის ზრდა და ელექტროენერგეტიკის ტექნიკური დონის ამაღლება სერიოზულ ამოცანებს უსახავენ ჩვენს ელექტროტექნიკურ მრეწველობას.

ამ ხუთწლედში უნდა ავითვისოთ 300 ათას კილოვატამდე სიმძლავრის ტურბინგენერატორების და მძლავრი ჰიდროგენერატორების, აგრეთვე ზემაღალი ძაძაბულობისა და დიდ გამწყვეტ სიმძლავრეთა დიდი ტრანსფორმატორების და მაღალვოლტიანი ელექტროაპარატურის წარმოება. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ელექტროტექნიკის დარგის უკანასკნელი მიღწევების გამოყენების საფუძველზე.

სათბობის მრეწველობის დარგის დავალებათა განსაზღვრის დროს ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ითვალისწინებდნენ ცალკეულ სახეობათა სათბობის მოპოვების განვითარების ეკონომიურ მიზანშეწონილობას, ამასთან მხედველობაში იღებდნენ კაპიტალურ დანახარჯებს, მოპოვების თვითღირებულებას და გადაზიდვის სიშორის შემცირებას.

დირექტივების პროექტი ითვალისწინებს ნავთობისა და გაზის, როგორც ეკონომიურად ყველაზე ხელსაყრელ სახეობათა სათბობის მოპოვების უპირატეს განვითარებას. 1960 წელს ნავთობი მოპოვებულ იქნება თითქმის 2-ჯერ, ხოლო გაზი — 4-ჯერ მეტი, ვიდრე 1955 წელს. ამასთან დაკავშირებით ნავთობისა და გაზის ხვედრითი წონა ჩვენი ქვეყნის სათბობის ბალანსში 1960 წლისათვის გადიდდება 30,5 პროცენტამდე. სათბობის ბალანსში გაზისა და ნავთობის როლის ასეთი გადიდება სავსებით მიზანშეწონილია, რადგან ერთი ტონა გაზის მოპოვების თვითღირებულება 8-ჯერ ნაკლებია, ხოლო ნავთობისა 3-ჯერ ნაკლები, ვიდრე ერთი ტონა ქვანახშირის ამოღების თვითღირებულება.

თუ ამას მივუმატებთ, რომ მუშახტეთა მიწისქვეშა შრომა გაცილებით უფრო რთული და მძიმეა, ვიდრე მენავთობეთა მუშაობა, სავსებით ნათელი გახდება, რამდენად სწორი და დასაბუთებულია ცენტრალური კომიტეტის ხაზი სსრ კავშირის სათბობის მრეწველობის განვითარებაში.

მეექვსე ხუთწლედში დასახულია აგრეთვე ქვანახშირის ამოღების შემდგომი განვითარება, და, უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირის ევროპული ნაწილის რაიონებში, რადგან იძულებული ვართ ჩვენი ქვეყნის ამ რაიონებში ქვანახშირი აღმოსავლეთიდან შეგვქონდეს. ქვანახშირის ამოღების გათვალისწინებული გადიდება დონეცის, მოსკოვისა და პეჩორის აუზებში საშუალებას მოგვცემს 1960 წლისათვის მკვეთრად შევამციროთ დაშორებული რაიონებიდან ქვანახშირის შეტანა.

ქვანახშირის უფრო რაციონალური გამოყენების და მისი გადაზიდვის შემცირების მიზნით დასახულია ავაგოთ დიდი თბოელექტროსადგურები, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად, უმთავრესად უშუალოდ მცირეკალორიანი სათბობის მოპოვების ადგილას, ხოლო გამომუშავებული ელექტროენერგია გადავცეთ მოხმარების ადგილებს ელექტროგადაცემის მაღალვოლტიანი ხაზებით.

ჩვენი ქვეყნის სათბობის ბალანსი შედგენილია იმის გათვალისწინებით, რომ შემცირდეს მოთხოვნილება ქვანახშირზე ჰიდროელექტროენერგიის გამომუშავების გადიდებით, ტრანსპორტის ელექტროფიკაციით, თბოელექტროსადგურებში დიდადეკონომიური მოწყობილობის დანერგვით, ქალაქებისა და მრეწველობის თბოფიკაციით, აგრეთვე ატომის ელექტროსადგურების აშენებლობით.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად სათბობზე მოთხოვნილების საერთო შემცირება 100 მილიონამდე ტონა იქნება 1960 წელს, ან ქვანახშირის მთელი ამოღების 17 პროცენტი, აქედან 20 მილიონი ტონა — რკინიგზის ტრანსპორტის ელექტროფიკაციით.

ქვანახშირის ამოღების მოცულობა, რაც გათვალისწინებულია დირექტივების პროექტით, მთლიანად დააკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას ქვანახშირზე, მაგრამ იმ პირობით, რომ უთუოდ შესრულდეს დავალებანი ნავთობის, გაზის მოპოვების განვითარებაში და შემცირდეს ქვანახშირის მოხმარება ზემოდ ჩამოთვლილ ღონისძიებათა განხორციელების გზით. ამიტომ ჩვენი ქვეყნის სათბობის ბალანსში დისპროპორციის თავიდან ასაცილებლად ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკებმა, აგრეთვე ენერგეტიკოსებმა, მეტალურგებმა, ქიმიკოსებმა და რკინიგზელებმა არ უნდა დაივიწყონ ეს დიდმნიშვნელოვანი გარემოება.

ჩვენი პარტია და მთავრობა მტკიცედ და თანმიმდევრულად ეწევიან ბრძოლას ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის და მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენებისათვის.

როგორც ცნობილია, 1954 წლის ივნისში საბჭოთა კავშირში ამუშავდა მსოფლიოში პირველი 5 ათასი კილოვატი სიმძლავრის ატომის ელექტროსადგური. ამ სადგურის მუშაობის გამოცდილებამ ცხადყო, რომ შესაძლებელი და მიზანშეწონილია ატომის ენერგიის გამოყენება ელექტროენერგიის წარმოებისათვის. ამიტომ ცენტრალური კომიტეტი სახავს მეექვსე ხუთწლედში აშენდეს 2,5 მილიონი კილოვატი საერთო სიმძლავრის რამდენიმე ატომის ელექტროსადგური ძირითადად იმ რაიონებში, რომლებიც შორიდან მოტანილი სათბობით სარგებლობენ. ეს მეტად სერიოზული საქმეა, რომელიც მეცნიერებისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგის მუშაკებისაგან დიდ ღონისძიებებს მოითხოვს თავისი განხორციელებისათვის.

ელექტროსადგურებისათვის ატომის რეაქტორების შექმნისა და ტრანსპორტისათვის ატომის ძალოვანი დანადგარების შემუშავების პროცესში საჭირო იქნება, როგორც თავის სიტყვაში აკადემიკოსმა კურჩატოვმა თქვა, მოკლე ვადებში გადაიჭრას რთული მეცნიერული და ტექნიკური ამოცანები.

მანქანათმშენებლებმა და ენერგეტიკოსებმა უნდა ააგონ ატომის ისეთი რეაქტორები, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემენ მივიღოთ დიდი წნევის ორთქლი და, მაშასადამე, ატომის ელექტროსადგურები აღვჭურვოთ თანამედროვე ტურბინაგრეგატებით.

მეტალურგიულმა მრეწველობამ უნდა უზრუნველყოს დიდი სიმტკიცის კონსტრუქციული მასალების წარმოება, რომლებიც საჭიროა ატომის რეაქტორების დასამზადებლად.

ატომის ენერგიის ენერგეტიკული გამოყენება, როგორც ცნობილია, დამყარებულია ატომის რეაქტორებში ბუნებრივი ან გამდიდრებული ურანის, პლუტონიუმის, აგრეთვე ურან-233-ის გამოყენებაზე, რომელსაც თორიუმის ნეშვეობით იღებენ.

ენერგიის რაოდენობა, რომელიც მოქცეულია მიწის წიაღში არსებულ ბუნებრივ ურანსა და თორიუმში, ბევრად აღემატება სათბობის მსოფლიო მარაგს.

მაგრამ კაცობრიობას შეუძლია იქონიოს ენერგიის გაცილებით მეტი წყაროები, თუ გამოიძებნა მსუბუქი ელემენტების სინთეზის თერმოატომგულის პროცესის რეგულირების საშუალება. ამ პროცესის დროს ენერგია რამდენჯერმე მეტი გამოიყოფა, ვიდრე ურანის გახლეჩისას.

საბჭოთა მეცნიერებმა და ინჟინრებმა ყოველი ღონისძიებით უნდა გააძლიერონ მეცნიერული კვლევა თერმოატომგულის რეგულირებული რეაქციების მიღების დარგში და გამონახონ ამ უდიდესი პრობლემის გადაჭრის გზები. მე ვფიქრობ, რომ ასეთი პრობლემის გადაჭრა შეუძლიათ საბჭოთა მეცნიერებს და რომ ისინი უთუოდ გადაჭრიან მას. ეს იქნება მეცნიერების უდიდესი გამარჯვება. საფუძველი ჩაეყრება მომავალი კომუნისტური საზოგადოების უშრეტი ენერგეტიკული ბაზის შექმნას.

როცა ახალ ხუთწლედში სახალხო მეურნეობის ტექნიკურ პროგრესზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება დუმილით ავუაროთ გვერდი ამ საქმეში რადიოტექნიკისა და ელექტრონიკის განსაკუთრებულ როლს. რადიოტექნიკასა და ელექტრონიკას არა მარტო იყენებენ კავშირგაბმულობის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის დარგში, არამედ ფართოდ ნერგავენ აგრეთვე მეტალურგიულ, ნავთობის, ქიმიურ მრეწველობაში, მანქანათმშენებლობაში, ენერგეტიკასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. სიჩქარეთა გაძლიერება, პროცესების ინტენსიფიკაცია მეტალურგიაში, ქიმიასა და სხვა დარგებში ზოგჯერ ისეთ რთულ და სწრაფადმიმდინარე დინამიკურ პროცესებს იწვევენ, რომ მათი ხელით ან ჩვეულებრივი ხელსაწყოების დახმარებით მართვა შეუძლებელი ხდება. ასეთი პროცესების მართვა ელექტრონული ხელსაწყოებით ხორციელდება.

ტელევიზიის ტექნიკის მიღწეული დონე საშუალებას იძლევა ფართოდ დავნერგოთ ტელევიზია მრეწველობაში, ტრანსპორტზე და ენერგეტიკაში ვიზუალური კონტროლისათვის, დისტანციური მართვისა და დისპეტჩერიზაციისათვის. უკვე წელს რადიოტექნიკური მრეწველობის სამინისტრო დაამზადებს მიმღებ-გადამცემი სატელევიზიო დანადგარების პარტიას სახალხო მეურნეობაში გამოსაყენებლად.

დირექტივების პროექტით მეექვსე ხუთწლედის პირველი რიგის ამოცანათა შორის გათვალისწინებულია ქიმიური მრეწველობის მნიშვნელოვანი განვითარება. ამჟამად ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ქიმიის როლი და მნიშვნელობა ტექნოლოგიური პროცესების და ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მძიმე და მსუბუქი მრეწველობის ყველა დარგში.

ახალი სინთეზური მასალები არა მარტო ცვლიან ამჟამად ხმარებულ ბუნებრივ, ხშირად დეფიციტურ მასალებს, არამედ, რაკი განსაკუთრებული თვისებები აქვთ, შესაძლებელს ხდიან მათი გამოყენებისას წარმოება აყვანილ იქნას უფრო მაღალ ტექნიკურ დონეზე. მაგალითად, რადიოტექნიკასა და მის მეზობელ დარგებში ფართოდ იყენებენ ფერიტებს, რომლებიც მაგნიტური მასალების ახალ ჯგუფს წარმოადგენენ. ფერიტებს გამოყენება რადიომიმღებთა და ტელევიზორთა დამზადებისას შესაძლებელს ხდის მკვეთრად გაუმჯობესდეს მათი ხარისხი, შემცირდეს ზომა და წონა, და 20-30 პროცენტით შემცირდეს ელექტროენერგიის ხარჯვა.

შეიძლებოდა მოგვეყვანა ასობით მაგალითი, რომლებიც ცხადყოფენ ქიმიური მრეწველობის უბადლო როლს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფის საქმეში.

ახლა თითქმის ყველა დარგი ქიმიას უყენებს მოთხოვნებს სულ უფრო მზარდი რაოდენობით ახალი ქიმიკატების მიწოდების შესახებ. მაგრამ ჩვენი ქიმიური მრეწველობა ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის ამ სწრაფად მზარდ მოთხოვნილებას.

დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია ქიმიური მრეწველობის, განსაკუთრებით მისი იმ დარგების განვითარების დაჩქარებული ტემპები, რომლებიც დაკავშირებულია ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფასთან, სამრეწველო წარმოების გაფართოებასა და სოფლის მეურნეობის აღმავლობასთან.

ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის მოხსენებებში სავსებით სწორად არის აღნიშნული ნავთობპროდუქტებისა და ბუნებრივი გაზებისაგან სინთეზური ქიმიკატების წარმოების ყოველი ღონისძიებით გადიდების განსაკუთრებული მნიშვნელობა ხელოვნური ქსოვილების. აგრეთვე კვების პროდუქტების შემცველთა გამომუშავების გაფართოებისათვის. ამ საქმეში ჩვენი ქიმიური მრეწველობა ძლიერ ჩამორჩა.

მთავარი პასუხისმგებლობა ამ საქმისათვის ეკისრება ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, რომელიც ნაკლებ ყურადღებას აქცევს სახალხო მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის განვითარებას. გარდა ამისა, ბუნებრივი გაზებისა და ნავთობგადამუშავების პროდუქტების ქიმიურ ნედლეულად

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

კამათი ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გამო: სკკპ XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ

ამხანაგ მ. გ. პერვუხინის სიტყვის გაგრძელება

გამოყენებას უკანასკნელ დრომდე აფერხებდა აგრეთვე ნავთობის მრეწველობის სამინისტრო. ზოგიერთი ნავთობგადამუშავებელი ქარხნის ხელმძღვანელებს არ ესმით ამ საქმის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და ამიტომ აჯობინებენ ქიმიური გადამუშავებისათვის ეს მეტად ძვირფასი ნედლეული დაწვან ან ჰაერში გაუშვან. მაგალითად, სუმგაიტის სინთეზური კაუჩუკის ქარხანა დიდხანს შეფერხებებით მუშაობდა იმის გამო, რომ ახალი ბაქოს ნავთობგადამუშავებელი ქარხანა გაზს ცუდად აწვდიდა.

დირექტივების პროექტით დასახულია მკვეთრად გადიდდეს ნავთობისა და ბუნებრივი გაზების გამოყენება სხვადასხვა სინთეზური ქიმიკატების წარმოებისათვის.

ქიმიკოსებმა და ნავთობის მუშაკებმა მშენებლებთან ერთად ყოველი ღონე უნდა იხმარონ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ პარტიის ეს დიდმნიშვნელოვანი დავალება.

ძვირფასი ნედლეულის უხვ რესურსებს სხვადასხვა ქიმიური პროდუქტების გამოსამუშავებლად შეიცავენ კოქსის წარმოებისას მიღებული გაზები. მაგრამ ამ რესურსებს ჩვენში აგრეთვე სრულიად არასაკმაო რაოდენობით იყენებენ.

მაგალითად, 1955 წელს 15 მილიარდი კუბური მეტრი კოქსის გაზიდან ქიმიურად გადამუშავებისათვის ამიაკისა და ორგანული ქიმიკატების მისაღებად გადასცეს მხოლოდ 5,3 პროცენტი. ამ გაზის დანარჩენი რაოდენობა მეტალურგიულმა ქარხნებმა გამოიყენეს მხოლოდ როგორც სათბობი. ტექნიკურად კი სავსებით შესაძლებელია კოქსის გაზის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოყენებულ იქნას ნედლეულად ქიმიური წარმოებისათვის, ხოლო მეტალურგიული ქარხნების მოთხოვნილება სათბობზე დაკმაყოფილდეს ბრძმედის გაზით, გენერატორული გაზით ან თხევადი სათბობით.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მთლიანად გამოვიყენოთ ეთილენი, რომელსაც შეიცავს კოქსის გაზი, პოლიეთილენისა და სინთეზური სპირტის წარმოებისათვის. ამ გზით ჩვენი ქვეყანა დამატებით მიიღებს დიდძალ სხვადასხვა ორგანულ ქიმიკატს, აგრეთვე მინერალურ სასუქებს.

შავი მეტალურგიის სამინისტროს თავის მოვალეობად არ მიაჩნია განავითაროს კოქსის გაზების ქიმიური გადამუშავება და, უფრო მეტიც, ჩვეულებრივად ეწინააღმდეგება ახალი ქიმიური ქარხნების დაპროექტებას, სადაც დასახულია კოქსის გაზის გამოყენება ქიმიური პროდუქტების წარმოებისათვის.

სადარგთაშორისო საკითხების გადაჭრისადმი ასეთი ვიწროუწყებრივი მიდგომა ბევრი სამინისტროსა და უწყების სერიოზული ნაკლია. ზოგიერთი კომუნისტი — სამინისტროების, სამეურნეო ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელები ისე ჩაეფლნენ ვიწროუწყებრივ ინტერესებში, რომ თავიანთ ცხვირს იქით ვერაფერს ხედავენ და ამიტომ ხშირად უმნიშვნელოვანესი სადარგთაშორისო საკითხების გადაჭრას უდგებიან საქმისნურად და არა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით.

გადამწყვეტი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ამ მავნე მოვლენის წინააღმდეგ სახელმწიფო აპარატის მუშაობაში, გავწმინდოთ ეს აპარატი უწყებრივი ბიუროკრატიზმის ჟანგისაგან. ეს აღმოფხვრის ბევრ დაბრკოლებას სახალხო მეურნეობის განვითარებაში და შესაძლებლობას მოგვცემს უფრო სწრაფად, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით გადავჭრათ მომავლავე ტექნიკური და სამეურნეო საკითხები.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, ქიმიური მრეწველობისა და შავი მეტალურგიის სამინისტროებმა უნდა შეიმუშაონ მეექვსე ხუთწლიდში კოქსის გაზების გამოყენების ბაზაზე ქიმიური წარმოების განვითარების გეგმა.

ახალ ხუთწლედში დასახულია სერიოზული განვითარება ქიმიური მრეწველობის სხვა დარგებშიც, სახელდობრ მინერალური სასუქების, შხამ-ქიმიკატების, გოგირდმჟავას, სოდის, საღებრების, ავტომობილის შინებისა და სხვა ნაკეთობათა წარმოების დარგში.

ქიმიური მრეწველობის წინაშე დასახული ამოცანების შესაბამისად განზრახულია ამ დარგში კაპიტალდაბანდებანი გადიდდეს 2,5-ჯერ მეხუთე ხუთწლედთან შედარებით. ქიმიური მრეწველობის მუშაკებისა და მშენებლების ღირსების საქმეა განახორციელონ საბჭოთა კავშირის ქიმიის განვითარების ეს დიდი და საინტერესო პროგრამა.

მრეწველობის მუშაკთა წინაშე მდგომი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა პროდუქციის ხარისხის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესება.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხები ფართოდ იქნა განხილული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილ წერილთან დაკავშირებით, აგრეთვე ივლისის პლენუმზე.

ბევრმა საწარმომ ამის შემდეგ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა და მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი მანქანებისა და მოწყობილობის კონსტრუქციების გაუმჯობესებისათვის, წარმოებაში ახალი, უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიის დანერგვისათვის, სტანდარტების დაცვისადმი და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისადმი კონტროლის გაძლიერებისათვის.

მაგრამ ზოგიერთი ქარხანა კვლავ უშვებს დეფექტიან და დაუმთავრებელ მოწყობილობას, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საამქრო და საქარხნო ტექნიკური კონტროლი.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად წარმოებს ჩამოსხმა, შედუღება, აგრეთვე შეღებვა და სხვა მოსაპირკეთებელი ოპერაციები. ამის შედეგად მზა პროდუქცია გამოდის არასაიმედო და ხშირად მას უშნო და უფერული შესახედაობა აქვს.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს. ურალის ქიმიური მანქანათმშენებლობის ქარხანამ სლავიანსკის სოდის ქარხნისათვის დაამზადა ორი ვაკუუმ-აპარატი. ამ აპარატების დადგმის ადგილზე გამოცდამ ცხადყო მათი უვარგისობა, რადგან მილის რიჟულები ჩამოსხმული იყო მსხვილმარცვლოვანი თუჯისაგან მრავალი ნიჟარით. სამწუხაროდ, ქარხნების ზოგიერთი ხელმძღვანელი ასეთ სისაძაგლეს ზერელედ უყურებს და იმით კმაყოფილდება, რომ ასეთი წუნით გამოწვეულ ზარალს სახელმწიფოს ხარჯზე ფარავს.

ურალის ქიმიური მანქანათმშენებლობის ქარხნის დირექტორმა ამხ. შესტაკოვმა სლავიანსკის სოდის ქარხნის ერთ-ერთ პრეტენზიაზე დამშვიდებით უპასუხა, 1955 წლის ნოემბრისა და დეკემბრის პირველი ნახევრის განმავლობაში დაგიმზადებთ და გამოგიგზავნით ახალ დეტალებს ნაცვლად დაწუნებულისაო.

საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება მოგვაგონებს კარგად ცნობილ ბივალოგს კინოფილმიდან „ვოლგა-ვოლგა“; აღშფოთებულ მყიდველებს, რომლებმაც პრეტენზია განაცხადეს მის „სისტემაში“ დამზადებული უვარგისი ბალალაიკების გამო, მან იმით უპასუხა, რომ აღუშფოთებლად მისცა განკარგულება თავის მდივან ქალს: „ეგ წუნი გამოართვით და სხვა მიეციოთო“. **(გამოცოცხლება დარბაზში. სიცილი).**

არის იმის ბევრი ფაქტი, რომ ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს საწარმოები არაკეთილხარისხოვან პროდუქციას უშვებენ.

ლენინგრადის ქარხანა „ელექტრიკოსს“ — ელექტროშემდუღებელი მოწყობილობის გამოშვების უძველეს ქარხანას — ჰყავს ბევრი გამოცდილი სპეციალისტი, მაღალკვალიფიციური ოსტატი და მუშა, ესე იგი ყველაფერი აქვს პირველხარისხოვანი, საუკეთესო ღირსების მოწყობილობის დასამზადებლად. ხშირად კი უშვებს ისეთ ნაწარმს, რომელსაც დიდძალი დეფექტი აქვს. მაგალითად, 1955 წელს პროდუქციის მორიგი შემოწმებისას 28 მანქანასა და აპარატს, რომლებიც ქარხანამ საგარეო ვაჭრობის სამინისტროს დაკვეთით დაამზადა და რომლებიც ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილებამ მიიღო, 440 დეფექტი აღმოაჩნდა, რის შედეგად ეს მოწყობილობა უვარგისად ცნეს.

ფერადი მეტალურგიის სამინისტროს საწარმოები ელექტროტექნიკურ მრეწველობას აწვდიან არადამაკმაყოფილებელი ხარისხის სპილენძის ზოდებს — ვაიერბარსებს. სპილენძის წარმოების მთავარი სამმართველოს ქარხნებში ვაიერბარსების წარმოება ხორციელდება არასრულყოფილი და მოძველებული ტექნოლოგიით, რის გამო ამ ზოდების ზედა ფენას აქვს მთელი რიგი დეფექტები, რომლებიც ამცირებენ სპილენძის პლასტიკურ თვისებებს და იწვევენ მზა ნაწარმის გადიდებულ წუნს.

ქვანახშირის მრეწველობა სახალხო მეურნეობას ხშირად აწვდის ნორმასთან შედარებით ნაცრიანობის გადიდებული პროცენტის ქვანახშირს, რომელიც შეიცავს ბევრ ტენს და არასტანდარტული ზომის ნატეხებს. საკმაო ოდენობით არ წარმოებს ქვანახშირის გამდიდრება.

სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტრო მნიშვნელოვანი რაოდენობით იძლევა შემცირებული კონდიციის მერქანს, დაუმუშავებელს, რაც მერქნის დიდ დანაკარგებს იწვევს მისი გამოყენებისას.

მოსახლეობა სერიოზულ მოთხოვნას უდგენს ფართო მოხმარების ზოგიერთი საქონლის ხარისხს.

მანქანათმშენებელი ქარხნების მიერ არაკეთილხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების ძირითადი მიზეზებია ჩამორჩენილი ტექნოლოგია, ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევა, საამქროების დანაგვიანება და პროდუქციის ხარისხისადმი ქარხნების ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და ხელმძღვანელების უყურადღებობა.

წარმოებისადმი ტექნიკური ხელმძღვანელობა ზოგიერთი საწარმოს საამქროებში სუსტად არის დაყენებული. მანქანათმშენებელ საწარმოთა საამქროებში ცოტა ინჟინერი მუშაობს ტექნოლოგად, ოსტატად, უბნების უფროსად და საამქროს უფროსადაც კი. ასეთი მდგომარეობა, კერძოდ, იმიტომ შეიქმნა, რომ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში სწორად არ ზრდიან ჩვენს ახალგაზრდობას. უმაღლესი სასწავლებლის ზოგიერთ კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტს მიაჩნია, რომ ისინი უნდა მუშაობდნენ მხოლოდ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში, საკონსტრუქტორო ბიუროებში, ხოლო თუ მაინცდამაინც ქარხანაში მოხვდნენ, ქარხნის სამმართველოში უნდა იმუშაონ. ფიქრობენ, რომ იმას, ვინც საამქროში გაიგზავნა, ბედმა არ გაუღიმა. ამ ახალგაზრდა სპეციალისტებს არ ესმით — იმისათვის, რომ კარგად შეითვისო წარმოების ტექნოლოგია, შექმნა კარგი კონსტრუქციები, საკუთარი თვალით უნდა ნახო წარმოების მთელი ყოველდღიური მუშაობა, შენი ხელით შეეხო წარმოების იარაღებს, გამოსცადო, თუ რა არის წარმოება. მხოლოდ ის ახალგაზრდა სპეციალისტი გახდება კვალიფიციური ინჟინერი, კონსტრუქტორი, ტექნოლოგი, რომელიც წარმოების სკოლას გაივლის. საჭიროა ზუსტად დავიცვათ მთავრობის მიერ დადგენილი წესი და უშუალოდ წარმოებაში გავგზავნოთ ახალგაზრდა ინჟინრები და ტექნიკოსები. ეს გაუმჯობესებს ტექნიკურ ხელმძღვანელობას საამქროებში, სარგებლობას მოუტანს საწარმოს და თვით ახალგაზრდა სპეციალისტებს.

ამასთან ერთად ყოველი ღონისძიებით უნდა გავაფართოოთ ინჟინრებისა და ტექნიკოსების მომზადება მუშებისა და ოსტატების წრიდან წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დაუსწრებელ და საღამოს სასწავლებლებში.

სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ინტერესები, ხალხის ინტერესები მოითხოვს, რომ უმოკლეს ვადაში აღმოვფხვრათ არაკეთილხარისხოვანი და არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვება.

საწარმოთა და სამინისტროთა პარტიული ორგანიზაციები არ უნდა ურიგდებოდნენ პროდუქციის ცუდად დამზადების ფაქტებს. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ თვითეულმა მუშამ, ინჟინერმა, დირექტორმა შეიგნოს, რომ არაკეთილხარისხოვანი მასალების, მანქანებისა და ფართო მოხმარების საქონლის გამოშვება არ შეეფერება საბჭოთა ადამიანის, კომუნიზმის მშენებლის ღირსებას.

ამხანაგებო, სახალხო მეურნეობის სოციალისტური გეგმიანი სისტემა ქმნის წარმოების საშუალებებისა და შრომის ყველაზე სრული, მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიის ფართო შესაძლებლობას.

როგორც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი აღნიშნავდა, საბჭოთა სოციალისტური საზოგადოება მსოფლიოში ყველაზე პროგრესული, ყველაზე მომჭირნე საზოგადოებაა.

ცენტრალური კომიტეტი, მთელი ჩვენი პარტია ყოველდღიურად ეწევიან ბრძოლას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმის განხორციელებისათვის, რაც იმის აუცილებელი პირობაა, რომ უზრუნველყოფილ იქნას შიდასამეურნეო დაგროვება, წარმოების განუწყვეტელი ზრდა, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდება.

სოციალისტური ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის შემდგომი აღმავლობის ისტორიული ამოცანის განხორციელებისათვის, აგრეთვე ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების დიდი პროგრამის შესასრულებლად XX ყრილობის დირექტივების პროექტში დასახულია კაპიტალდაბანდებათა უდიდესი მოცულობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ამ კაპიტალურ დაბანდებათა სწორი გამოყენება, მშენებლობაში ყოველმხრივი ეკონომია დიდ დამატებით რეზერვებს ქმნის სოციალისტური წარმოების გაფართოებისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

და მართლაც! კაპიტალურ დაბანდებათა მხოლოდ ერთი პროცენტი ეკონომია შეადგენს მნიშვნელოვან თანხას — დაახლოებით 10 მილიარდ მანეთს. ასეთი სახსრებით შეიძლებოდა კუიბიშევის ჰესის ანალოგიური კიდევ ერთი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის ან მაგნიტოგორსკის სიმძლავრის თანაბარი მეტალურგიული კომბინატის აგება დამატებით 7,5 მილიონი კვადრატული მეტრი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ფართობის აგება.

1921 წლის თებერვალში მოსკოვის საბჭოს პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ამბობდა: „სამეურნეო სამუშაოზე საჭიროა — თუმცა ეს არც თუ სავსებით შესაფერისი სიტყვაა — ერთგვარი „ხელმოჭერილობა“ (თხზ., ტ. 32, გვ. 182).

მაგრამ მას შემდეგ 35 წელი გავიდა, ხოლო ზოგიერთ ხელმძღვანელს დღემდე როგორც საჭიროა ვერ უსწავლია „ხელმოჭერილობა“, ე. ი. ყოველდღიურად ყველაფერში დაიცვას მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმი, გაუფრთხილდეს სახელმწიფო სახსრების ყოველ მანეთს, გაუფრთხილდეს ყოველ ტონა ქვანახშირს, ნავთობს, ლითონს, ცემენტს, სამუშაო დროის ყოველ საათს, განუხრელად ახორციელებდეს სამეურნეო ანგარიშს და აღწევდეს ყველა საწარმოსა და მშენებლობის რენტაბელურ მუშაობას.

აიღეთ, მაგალითად, კაპიტალური მშენებლობა. ჩვენ აქ გვაქვს კაპიტალურ დაბანდებათა დაფაფლა მრავალ ობიექტზე, რაც იწვევს მშენებლობის გახანგრძლივებას და სახელმწიფოს სახსრების უნაყოფო ხარჯვას. ბევრი საპროექტო ორგანიზაცია პროექტებს ადგენს დიდი ზედმეტობით საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების არქიტექტურულ-საგეგმო და კონსტრუქციულ გადაწყვეტაში. უნდა ითქვას, რომ ასეთი ზედმეტობა არის სამრეწველო საწარმოთა პროექტებში საწარმოთა ტერიტორიის ზომის, საწარმოო შენობების ფართობისა და მოცულობის მიმართ. ხშირად ითვალისწინებენ პატარა, მცირე წარმადობის აგრეგატების გამოყენებას და წარმოების მოძველებულ ტექნოლოგიას. ყოველივე ეს იწვევს მშენებლობის გაძვირებას.

გასული წლის დამლევს ვიყავი საქართველოში, ქალაქ რუსთავში. კარგი ქალაქია, მოხერხებულად არის დაგეგმილი, ყველას მოსწონს, მაგრამ მისი მშენებლობისას დაშვებულია ბევრი ზედმეტობა.

მაგალითად, ავიღოთ კულტურის სასახლე. გარედან შენობა უფრო მეტია, ვიდრე მოსკოვის დიდი თეატრი, ხოლო მთავარი დარბაზი ნავარაუდევია მარტო 750 ადგილისათვის, სამაგიეროდ შენობას მიშენებული აქვს კოლონადა, რომელიც არავის არ ესაჭიროება, თითქმის ისეთივე, როგორც ყაზანის ცნობილ ტაძარს ლენინგრადში.

შეიძლება მოვიყვანოთ წარსულის არქიტექტურით ასეთი გატაცების ბევრი მაგალითი, რაც სახელმწიფოს ძლიერ ძვირად უჯდება. დროა ჩვენმა არქიტექტორებმა და დამპროექტებლებმა საქმით გარდაქმნან თავიანთი მუშაობა.

ზედმეტობა დაშვებულია თითქმის მთელი ამიერკავკასიის რკინიგზის სადგურების დაპროექტებასა და მშენებლობაში, განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროზე. მაგალითად, გაგრაში აშენებულია ორი ვაგზალი — სატვირთო და სამგზავრო, თუმცა ამის საჭიროება არ იყო. ახალ ათონში იყო ძველი ვაგზალი, ორ გვირაბს შუა აეშენებინა მეორე ვაგზალი, ახლა კი აშენებენ მესამეს, რადგან გვირაბებს შუა აშენებული ვაგზლის გამოყენება არ შეიძლება. პატარა დასახლებულ პუნქტ განთიადში აშენებულია ახალი დიდი ვაგზალი, რომელსაც ძალიან ნაკლებად იყენებენ იმის გამო, რომ მგზავრები არ არიან.

საკითხავია: რას ფიქრობდნენ ამიერკავკასიის რკინიგზისა და გზათა სამინისტროს მუშაკები, როცა ამ ვაგზლების პროექტებს ამტკიცებდნენ? ეს არის სახელმწიფო სახსრების გაფლანგვა, რაც შეუწყნარებელია სოციალისტურ სახელმწიფოში.

როცა ეკითხები, რით არის ეს უმსგავსობა გამოწვეული, ხშირად პასუხად გაიგონებ: ეს ზედმეტობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებამდე გაკეთდაო. თითქოს ამ საკითხზე ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებამდე სამეურნეო მუშაკები-კომუნისტები მოვალენი არ იყვნენ უყირათიანად მოჰყრობოდნენ სახელმწიფო სახსრების ხარჯვას.

კომუნისტებს, რომლებმაც ეს პროექტები შეიმუშავეს და დაამტკიცეს, დაეკარგათ პარტიული ალღო, საქმით კომუნისტები აღარ არიან, რადგან სახელმწიფო სახსრებისადმი უყირათიანი დამოკიდებულება უმაღლესი კანონია კომუნისტისათვის, საბჭოთა ადამიანისათვის. უნდა ვაშენოთ უფრო სადად, მოხერხებულად და უფრო იაფად და ამით ვაშენოთ მეტი საწარმო, საცხოვრებელი სახლი, სკოლა და საავადმყოფო.

ბევრ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციაში ყველაფერი რიგზე ვერ არის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულების შემცირების დავალების შესრულების მხრივ. მეხუთე ხუთწლედში მშენებლებმა დაუშვეს 9 მილიარდ მანეთზე მეტი ზარალი. მეექვსე ხუთწლედის შესაბამ დირექტივების პროექტის შედგენისას ბევრი სამინისტრო ნაცვლად იმისა, რომ გარკვეულიყო დაუმთავრებელი მშენებლობის უდიდეს მოცულობაში, დაესახა მშენებლობის უსწრაფესად დამთავრების, გაიაფების, მოქმედ სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენების გზები, დაადგა ახალი კაპიტალური მშენებლობის გაბერვის გზას. სამინისტროებმა და რესპუბლიკებმა განაცხადეს, რომ ხუთწლედისათვის გათვალისწინებულ კაპიტალდაბანდებათა გარდა, საჭიროა დამატებით 250 მილიარდ მანეთამდე, მაშინ როცა მათ მშენებლურად იციან, რომ კაპიტალური მშენებლობის მოცულობა განისაზღვრება მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით და არ შეიძლება ნებისმიერად გადიდდეს.

მომჭირნეობის რეჟიმის ზუსტად დაცვისას, იმ სახსრების სწორად განაწილებისას, რომლებიც გამოყოფილია კაპიტალური მშენებლობისათვის, ყველა დავალება სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების, საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობის დარგში, რაც დასახულია დირექტივების პროექტით, შეიძლება ეთუოდ შესრულდეს ისე, რომ საჭირო არ იქნეს დამატებითი კაპიტალური დაბანდებანი.

ამხანაგებო! სოციალისტური წარმოების უდიდესი მასშტაბი ახალ ხუთწლედში, სახალხო მეურნეობის აყვანა უფრო მაღალ ტექნიკურ დონეზე სახელმწიფო აპარატის მუშაკებისაგან და საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს სამეურნეო ხელმძღვანელობის შემდგომ გაუმჯობესებას. უკანასკნელ დროს ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ განახორციელეს მთელი რიგი სერიოზული ღონისძიებანი სახელმწიფო აპარატის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, სამეურნეო ხელმძღვანელობის დეცენტრალიზაციისა და საწარმოთა სამეურნეო-ოპერატიული საქმიანობის გაძლიერებისათვის.

წინათ არსებული წვრილმანი მეურვეობა, ის გარემოება, რომ საჭირო იყო ცენტრში მიგელო სანქცია ბევრ სამეურნეო საკითხზე, ბოჭავდა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამინისტროებისა და საწარმოების ინიციატივას და აძნელებდა მათს მუშაობას. მართვის ასეთ სისტემას საფუძვლად ედო ადგილობრივი ორგანოებისადმი, საწარმოთა ხელმძღვანელებისადმი წინანდელი ეუნდობლობის ნაშთი.

იმისათვის, რომ გავაძლიეროთ საწარმოთა დირექტორების სამეურნეო ინიციატივა და გავადიდოთ მათი პასუხისმგებლობა სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის, წარმოების ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვისათვის, შრომის ნორმირებისათვის, შრომის ორგანიზაციის და მისი ნაყოფიერების გადიდებისათვის, აგრეთვე პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, მიღებულია გადაწყვეტილება საწარმოთა ხელმძღვანელების, აგრეთვე უბნების უფროსებისა და ოსტატების უფლებათა მნიშვნელოვანი გაფართოების შესახებ. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ცენტრალური დაწესებულება ეწინააღმდეგება სახელმწიფო აპარატის გარდაქმნას და საწარმოთა და ადგილობრივ ორგანოთა უფლებების გაფართოებას. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ასეთი ფაქტი. „საწარმოების დირექტორების უფლებათა გაფართოების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილების შესასრულებლად სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ მხოლოდ 1956 წლის იანვარში, ხუთი თვის დაგვიანებით, გამოსცა ინსტრუქცია საწარმოთა სტრუქტურისა და შტატების დამტკიცების წესისა და ხარჯვის წესის შესახებ. ამიტომ 1956 წლის დამდეგამდე ამ დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მთლიანად როდი იყენებდნენ.

ჩვენი ქვეყნის მეურნეობის მართვის გარდაქმნის განხორციელებისას, ცენტრალური კომიტეტი ემყარება იმას, რომ საჭირო ცენტრალიზებული გეგმიანი საწყისი მთელი საბჭოთა კავშირის ინტერესებისათვის ეხამებოდეს რესპუბლიკების სამეურნეო და კულტურული საკითხების გადაჭრაში დამოუკიდებლობისა და ინიციატივის ამაღლებას.

ჩვენ ბევრი გადაწყვეტილება გამოგვაქვს სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა საკითხზე, მაგრამ ეს გადაწყვეტილებანი ხშირად დროზე არ სრულდება და თუ სრულდება — ცუდად.

ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზია უწინარეს ყოვლისა საქმის არადამაკმაყოფილებელი, უუნარო ორგანიზაცია, არაკონკრეტული ხელმძღვანელობა, აგრეთვე ნაკლებეფექტიანი კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი სამინისტროთა და უწყებათა მხრივ.

სამეურნეო და საბჭოთა ორგანოების საქმიანობისადმი კონტროლი როგორც ქვემოდან, მშრომელთა მასებისა და პარტიული ორგანიზაციების მხრივ, ისე ზემოდან, ცენტრალური პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხრივ, ხელმძღვანელებისადმი უნდობლობის გამოხატულება კი არ არის, არამედ ჩვენი ქვეყნის მართვის ბოლშევიკური ორგანიზაციული პრინციპების განუყოფელი ნაწილია. მაგრამ სამინისტროთა და უწყებათა ზოგიერთ ხელმძღვანელს არ ესმის კონტროლის მნიშვნელობა და ხშირად ცვლის მას ფორმალური რევიზიით, დიდ მოხსენებათა წერით და ფაქტების კონსტატაციით. სამწუხაროდ, ასეთივე ფორმალური მეთოდებით აწარმოებს მუშაობას უმეტეს შემთხვევაში სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სამინისტროც.

უნდა გავიხსენოთ, რომ წერილში „მუშაკ-გლეხური ინსპექციის ამოცანას შეადგენს არა მარტო და არა იმდენად „დაჭერა“, „მხილება“ (ეს სასამართლოს საქმეა, რომელთანაც მუშაკ-გლეხინი ახლო დგას, მაგრამ სრულიად არ არის იგივე, რაც სასამართლო), რამდენადაც **გამოსწორების უნარი.**

უნარიანი გამოსწორება დროულად — აი მუშაკ-გლეხინის მთავარი ამოცანა“ (თხზ., ტ. 33, გვ. 27).

საბჭოთა სახელმწიფოს კონტროლი სახელმწიფო ორგანიზაციებისა და საწარმოების საწარმო, სამეურნეო და ფინანსური საქმიანობისადმი, ჩვენი ქვეყნის გიგანტური მეურნეობისადმი სწორი ხელმძღვანელობის აუცილებელი პირობაა. მაგრამ სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სამინისტრო და მისი ადგილობრივი ორგანოები ჯერ კიდევ არ გამხდარან უმნიშვნელოვანესი ბერკეტი ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებათა დროულად და ზუსტად შესრულებისათვის ბრძოლის საქმე“ში. სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს ორგანოებში მუშაობს უდიდესი არმია კვალიფიციური ადამიანებისა, რომლებსაც კონტროლის სწორი დაყენებისას შეუძლიათ არსებითი ყოველდღიური დახმარება გაუწიონ მთავრობასა და ცენტრალურ კომიტეტს. სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სამინისტროში კი ლრმად გაიდგა ფესვები შემოწმების დიდი რაოდენობისადმი გამოდევნების მანკიერმა პრაქტიკამ, რამაც გამოიწვია ძალების დაქსაქსვა, კონტროლის ქმედითობის შემცირება. შემოწმება და რევიზია, როგორც წესი, ხდება უაღრესად კანცელარიული მეთოდებით, ხშირად ისე, რომ არ იწვევენ პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაკებს, აგრეთვე შესამოწმებელ საწარმოთა მუშებს.

ნაცვლად იმისა, რომ ყოველი ღონისძიებით აღწევდეს ქმედითს კონტროლს, უნარიანად და დროზე იცლებდეს თავიდან და ასწორებდეს ნაკლოვანებებს, ცდილობდეს, რომ შემოწმების შედეგებზე სათანადო სამინისტროები და საწარმოები ღებდნენ შემოწმებით გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის დაუყოვნებლივ ღონისძიებებს, სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სამინისტრო სჯერდება მთავრობაში ვრცელ მოხსენებათა გაგზავნას.

მოვიყვან ერთ მაგალითს, რომელიც ახასიათებს ამ სამინისტროს მუშაობის სტილს. 1955 წლის ივნის-ივლისში სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სამინისტრო ამოწმებდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხორცის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების შესრულებას. ამ შემოწმებაში მონაწილეობდა 125 კონტროლიორი, რომლებმაც შეამოწმეს 150 კოლმეურნეობა, 46 მტს-ი, 38 საბჭოთა მეურნეობა და სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სამინისტროში წარადგინეს 786 ფურცელზე დაწერილი აქტები და ცნობები. მთავარი კონტროლიორის მოადგილე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაზით, რომელიც კონტროლიორთა ბრიგადის მეთაურად გაემგზავრა პენზის ოლქში, ერთ დღეს იყო კუზნეცკის რაიონის ორ კოლმეურნეობაში. მთელი მისი შემოწმება ამოიწურა სტატისტიკური მასალების შეგროვებით. ამ კოლმეურნეობებში ყოფნისას მან შეადგინა „შემოწმების აქტები“, რომლებშიც ჩაწერილია კოლმეურნეობებისათვის დაწესებული დავალებანი ხორცის ჩაბარების დარგში, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ცხვრის სულადობის რაოდენობა, და დასასრულ ჩაწერა, რომ კოლმეურნეობებმა წლის დამლევამდე სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ ამდენი და ამდენი ცენტნერი ხორცი. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

ასეთ კანცელარიულ შემოწმებათა საფუძველზე სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სამინისტრომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წარადგინა ბარათი სრულიად უმნიშვნელო ორი წინადადებით.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

განვახორციელოთ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი

★ ★ ★ ★

გუშინ პლეხანოვის სახელობის კლუბში თავი მოიყარეს სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატებმა, ზეინკლებმა, მექვაბეებმა, მეარმატურეებმა, დურგლებმა, მდებავებმა, ინჟინრებმა და ტექნოლოგებმა. აქ ისინი მოვდნენ იმისათვის, რომ განიხილონ პარტიის XX ყრილობის შედეგები, მოუსმინონ ყრილობის დელეგატს ი. ჭუმბურიძეს, რომელიც ამ დღეებში დაბრუნდა მოსკოვიდან.

კრებას ხსნის ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი, ამხ. დ. ახუთიძე. იგი სიტყვას აძლევს ცნობილ ნოვატორ ხარატს ი. ჭუმბურიძეს, რომელსაც დამსწრენი ტაშით ხვდებიან.

ახალი ხუთწლედის დავალებას ვაღამდე შევასრულებთ

ამხ. ი. ჭუმბურიძის გამოსვლიდან

ძვირფასო ამხანაგებო! მე წილად მხვდა დიდი ბედნიერება — მონაწილეობა მიმეღო ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობაში, და მინდა გითხრათ ყრილობის მუშაობის და მის მიერ მიღებულ ისტორიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებათა შესახებ.

უკვდავი ლენინის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება — აი ის მთავარი, რითაც გამსჭვალული იყო ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის მოხსენებები, ყრილობაზე გამოსულთა სიტყვები, მთელი ყრილობის მუშაობა.

ყრილობის გადაწყვეტილებათა ყოველ სტრიქონში, დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მკაფიოდ ჩანს პარტიის ლენინური ზრუნვა ხალხისათვის, საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისათვის.

ამხანაგებო! დღეს აქ უნდა მოვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ როგორ ვუპასუხოთ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, რა კონკრეტული საქმეებით გამოვეხმაუროთ პარტიის მოწოდებას.

როგორც იცით, ამ ქარხანაში დიდი ხანია ვმუშაობ და ჩვენს რეზერვებს რომ ვუკვირდები, ვარწმუნდები, რომ ჩვენ შეგვიძლია ორათუ მთლიანად შევასრულოთ მეექვსე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანები, არამედ ვადაზე ადრე და მნიშვნელოვანი გადაჭარბებითაც.

მეექვსე ხუთწლედში ჩვენს წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. გათვალისწინებულია ქარხნის ძირეული რეკონსტრუქცია, მთლიანად შეიცვლება მის მიერ გამოშვებული ჰიდროუქციის პროფილი. ნაცვლად დაბალი წარმადობის ორთქლმავლებისა, შევაკეთებთ ელექტროვაგონებსა და მთლიანლითონის ვაგონებს.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ყოველმხრივ მოსწავლებული შეეხვედთ ამ დიდ ღონისძიებებს?

უწინარეს ყოვლისა აქედანვე უნდა გავაძლიერთოთ რეკონსტრუქციის ტემპი. უნდა დავიწყოთ ყველა საამქროს ძირეული გარდაქმნა ისე, რომ იქ ადვილად დაიდგას ახალი, გაუმჯობესებული ტიპის ამწე-მექანიზმები.

საბჭოთა მთავრობა სისტემატურად გვამცნებს ახალი გაუმჯობესებული იარაღ-მანქანებით, მაგრამ ამავე დროს მოგვიწოდებს მაქსიმალურად ვიყენებდეთ არსებულ შიდასაწარმოო რეზერვებს, განუწყვეტლივ ვზრდიდეთ ჩარხების წარმადობას და ვახდენდეთ მათს მოდერნიზაციას.

ქარხანაში არსებული რეზერვების გამოვლინებისა და გამოყენებისათვის ბრძოლა ჩვენთან ცუდად როდი წარმოებს. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჯერ კიდევ არ არის ამოწურული ყველა შესაძლებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ ჩარხების წარმადობის გადიდებაზე, ეს საქმე ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე მიყვანილი. მაგალითად, ზოგიერთ ჩარხს თუ შეეუცვლით რამდენიმე დეტალს, ამით საგრძნობლად გაიზრდება შრომის ნაყოფიერება.

განა ფაქტი არ არის, რომ ხშირად ჩვენთან ლითონი უყაირათოდ იხარჯება? მაგალითად, სახარატო-მექანიკურ საამქროში მიღებული ნახევრადდამზადი დეტალების დამუშავებისას ლითონის 25-35 პროცენტს ვკარგავთ. ეს ძალიან დიდია. ამიტომ მინდა დავაყენო საკითხი თავისუფალი ჭედვის ტვიფრული ჭედვით შეცვლის შესახებ.

ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი ორთქლმავლის დაშლისას გულდასმით არ არჩევს დეტალებს, ხშირად ვარგის ნაწილებს არადანიშნულებისამებრ გზავნის. უნდა შევიგნოთ, რომ ყოველი ნაპერი ლითონი ვარგისია, იგი გულდასმით უნდა გავსინჯოთ და სათანადოდ გამოვიყენოთ ორთქლმავლის გაჯანსაღებისათვის.

დიდი მნიშვნელობა აქვს მოწინავე საწარმოთა გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვას. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ყველა მუშის კუთვნილება გახდეს არა მარტო მეზობელი საწარმოს, არამედ ჩვენი სამშობლოს მოწინავე სამრეწველო კოლექტივების დადებითი გამოცდილება.

აქვე მინდა ვილაპარაკო ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე. ეს არის გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ წუნიანი დეტალის გამოშვების თვითეული შემთხვევა ამცირებს შრომის ნაყოფიერებას, ლაქავს სტუნს საქარხნო მარკას, აიცდენს ჩვენს კოლექტივს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ შევძელით უწუნოდ მუშაობა.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი მოგვიწოდებენ დროულად გამოვეხმაუროთ ყოველივე ახალს, პროგრესულს, განვავითაროთ მუშათა შემოქმედებითი აქტივობა და ინიციატივა.

მოსკოვიდან დაბრუნების მეორე დღესვე შევიკრიბეთ ჩვენი, მექანიკურ-სახარატო საამქროს მუშაკები და დაწვრილებით მოვილაპარაკეთ იმაზე, თუ რით ვუპასუხებთ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ავწონ-დავწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი და გადავწყვიტეთ:

ყოველთვიური საწარმოო დავალება შევასრულოთ 105 პროცენტით, გეგმის გადამეტებით მივაღწიოთ ამწყობ საამქროს მთელი რიგი დეტალები, თვიურად დავზოგოთ 6.000 მანეთი, პროდუქციის თვითღირებულება შევამციროთ 2 პროცენტით.

პარტიამ ჩვენს წინაშე დიდი და საპატიო ამოცანები დასახა, და იმისათვის, რომ ღირსეულად შევასრულოთ ეს ამოცანები, საჭიროა ყველა ჩვენგანმა პატიოსნად იმუშაოს თავის პოსტზე, მთელი ძალები მოახმაროს XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლას.

ვადამდე შევასრულოთ ახალი ხუთწლედის დავალება, ასეთია ჩვენი საბრძოლო ამოცანა.

ახალი ხუთწლედის დავალებას ვადამდე შევასრულებთ

ამხ. ი. ჭუმბურიძის გამოსვლიდან

ორატორთა გამოსვლებში ნათლად ჩანდა, რომ ქარხნის კოლექტივი ერთსულოვნად იწონებს პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს და რომ მზად არის თავდადებული შრომით უზრუნველყოს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე შესრულება.

სიტყვით გამოსულნი მხურვალედ უჭერდნენ მხარს ი. ჭუმბურიძის მიერ დასმულ საკითხებს.

ამწყობი საამქროს საარმატურე განყოფილების უფროსმა ამხ. **გ. კამლაძემ** თქვა: ი. ჭუმბურიძემ სწორად აღნიშნა, რომ გამოუყენებელი რეზერვები კიდევ ბევრი გვაქვს. ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე ნაგალითს მოვიყვან. ჩვენთან უნდა დაიდგას მოსაბრუნებელი ამწე. იგი 4 მუშას შეაცვლის და დაახლოებით 30 პროცენტით გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას. ქარხნის მთავარი ტექნოლოგის განყოფილება აყოვნებს ამ საქმის მოგვარებას. ახლა საამქროში დგას მოძველებული სახარატო ჩარხი „ტნ-27“. რამდენნაირ თვეა დასმულია საკითხი, რომ იგი შეიცვალოს ახალი ჩარხით, რომელზეც შესაძლებელი იქნება ქვაბის არმატურისა და სამუხრუჭე ავტომატის ნაწილების დამუშავება. ქარხნის მთავარი ინჟინერი აჭიანურებს ამ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას. ჩვენი განყოფილების კოლექტივი პირობას დებს ყოველი თვის დავალება გაანალდოს არაუგვიანეს 27 რიცხვისა და მაღალხარისხოვანი დეტალები დაამზადოს.

ნოვატორული შრომის მეთოდების გავრცელებაში და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვაში დიდი როლი უნდა შეასრულონ ქარხნის ტექნოლოგებმა, — განაცხადა ინჟინერმა **ლ. ზავსმა.**

თებერვალში მექვაბეებმა გეგმის გადამეტებით სამი ქვაბი მიაწოდეს ამწყობ საამქროს. მათ გადაწყვეტილი აქვთ ვადამდე შეასრულონ მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის დავალება, — ამის მიღწევას იმით ვაბარებთ, — ამბობს საქვაბე საამქროს უფროსი ამხ. **ი. გრძელიშვილი,** — რომ უფრო ფართო მასშტაბით ვაწარმოებთ პარალელურ სამუშაოებს ქვაბების შეკეთებაზე, მათი რემონტის ვადების შესამცირებლად სრულყოფთ შესაცვლელი ნაწილებით წინასწარი მომზადების ორგანიზაციას, მთლიანად გამოვიყენებთ შრომის ნაყოფიერების ამაღლების იმ შესაძლებლობებს, რომლებიც ახალი მძლავრი კომპრესორის დადგმამ მოგვცა.

წარმოების კულტურის ამაღლების მიზნით სატენდერო საამქროს მუშა ამხ. **ა. ბერეზანსკი** მოითხოვს, რომ ტენდერების სხვადასხვა ნაწილებს ერეკებოდნენ და შემდეგ მოჰქონდეთ მათთან შესაკეთებლად.

ახალგაზრდა ზეინკალი ამხ. **შ. კრაველაძე** წინადადებას აყენებს, რომ ქარხნის ხელმძღვანელობამ განახორციელოს ღონისძიებანი ჩარჩო-ძარისა და ვაგონების ასაწყობი საამქროებს ერთმანეთთან დასაახლოებლად, რადგან მათი ბრიგადის სამუშაო დროის მნიშვნელოვანი ნაწილი საამქროდან საამქროში უქმად სიარულს უნდება. ეს კი საგრძნობლად ამცირებს შრომის პროდუქტიულობას.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა ვალდებულებანი

(საერთო კრების დადგენილებიდან)

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინური ზრუნვის საპასუხოდ ჩვენი ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები ახალი ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესასრულებლად ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

წლიური დავალება გავანაღდოთ 20 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით მივაცეთ საამშობლოს ერთი მილიონი მანეთის პროდუქცია.

წარმოების კულტურის ამაღლებითა და რემონტის ხარისხის გაუმჯობესებით 2 პროცენტით შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება.

გეგმასთან შედარებით ერთი პროცენტით გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება.

მექანიზაციის გაუმჯობესებით 8 პროცენტით შევამციროთ მძიმე ფიზიკური შრომატევადობა.

ფართოდ გავაჩაღოთ მუშაობა რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს შორის და მივაღწიოთ 1956 წელს 130 რაციონალიზატორული წინადადების დანერგვას წარმოებაში.

მუშათა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად ორთქმლმავლების დასაშველ საამქროში დავდგათ დეტალების გასარეცხი მანქანა, მიმდინარე წელს შევუდგეთ 27-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივის შედეგებისადმი. ტრიბუნაზეა ყრილობის დელეგატი ხარატი ი. ჭუმბურიძე.

კრება, მიძღვნილი პარტიის XX ყრილობის ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ი წ ლ ი ს თ ა ვ ი

ოცდათხუთმეტი წლის წინათ — 1921 წლის 4 მარტს — აფხაზეთში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. საქართველოს სს რესპუბლიკის შემადგენლობაში შექმნილი აფხაზეთის ასს რესპუბლიკა კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების მკაფიო მაგალითია. საბჭოთა წყობილებამ აფხაზეთის მშრომელნი გაათავისუფლა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მძიმე ბორკილებისაგან.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რუსი, ქართველი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების დახმარებით აფხაზეთის მშრომელებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე აფხაზეთი გადაიქცა აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად.

წინათ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, აფხაზეთის სოფლის მეურნეობა ყველაზე ღარიბი და ჩამორჩენილი იყო, თუმცა აფხაზეთი ძველთაგანვე ცნობილია ბუნების მდიდარი შესაძლებლობებით. ამის შესახებ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი წერდა: „აფხაზეთი შემკული არს ყოვლითა ნაყოფიერებითა და ჰავითა, რამეთუ ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, ხილნი, ვენახნი, პირუტყვნი და ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი“.

მაგრამ ყოველივე ეს გამოუყენებელი იყო. მთელ სიმდიდრეს ფლობდა თავადებისა და მემამულეების მცირე ჯგუფი.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი ბუნების ამ დოვლათის ნამდვილად გამოყენება, მისი მშრომელთა სამსახურში ჩაყენება.

აფხაზეთის სოფლის მეურნეობა ამჟამად გადაიქცა განუწყვეტლივ მზარდ სუბტროპიკულ სოფლის მეურნეობად.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწებზე ახლა მოჰყავთ ჩაი, თამბაქო, ციტრუსები, ტუნგო, ყურძენი, გერანი და ბევრი სხვა ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები, რომლებიც წამყვან როლს ასრულებენ რესპუბლიკის ეკონომიკაში და კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრების წყაროს წარმოადგენენ.

გაწეულია სერიოზული მუშაობა რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის. უკანასკნელ წლებში შექმნილ ვიდ მანქანა-ტრაქტორთა სადგურში უკვე არის ასობით ტრაქტორი და ბევრი სხვა ტექნიკა.

ახალ, მეექვსე ხუთწლედში აფხაზეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წინაშე დასახულია ამოცანა — ფართოდ გამოიყენონ ბუნებრივი რესურსები სუბტროპიკული მწარმოებელ რესურსებს ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის, გაუმჯობესონ აფხაზური თამბაქოს ხარისხი, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა, მკვეთრად გაადიდონ სიმინდის მოსავლიანობა, საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

დიდად განვითარდა აფხაზეთის მრეწველობა. თუ ჯერ კიდევ ახლო წარსულში აქ არ იყო არც ერთი დიდი ელექტროსადგური, არც ერთი ცოტად თუ ბევრად დიდი საწარმო, ახლა ელექტროგადამცემი ხაზები გაყვანილია რესპუბლიკის ყველა კუთხეში. აგებულია ტყვარჩელის მძლავრი თბოცენტრალი, სოხუმის ჰიდროელექტროსადგური და მთელი რიგი სხვა სადგურები, რომელთა ენერგია ჩართულია საქართველოს ენერგორკალში.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე შეიქმნა ქვანახშირის მრეწველობა. ტყვარჩელის ქვანახშირის მახტები დიდ როლს ასრულებენ ამიერკავკასიის ეკონომიკაში. გაჩნდა თამბაქოს, ჩაის, თევზის მრეწველობა. ამუშავდა ეთერზეთის ქარხნები და მსუბუქი მრეწველობის ბევრი სხვა საწარმო. უმჯობესდება მათი მოწყობილობა, განუწყვეტლივ იზრდება პროდუქციის გამოშვება.

კაპიტალდაბანდებებმა აფხაზეთის მრეწველობაში მარტო მეოთხე ხუთწლედში გადააჭარბა მთელი წინა ოცი წლის კაპიტალდაბანდებებს.

მეექვსე ხუთწლედში აფხაზეთის მრეწველობა შემდგომ განვითარდება. გადიდდება ქვანახშირის ამოღება ტყვარჩელში, განხორციელდება სოხუმსოჭის რკინიგზის ელექტროფიკაცია.

აყვავდა რესპუბლიკის ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურა. თუ რევოლუციამდე აფხაზეთში იყო მხოლოდ სამი საშუალო სკოლა, ახლა აქ არის 413 სკოლა, მათ შორის 78 საშუალო სკოლა, სადაც სწავლობს მშრომელთა 60 ათასზე მეტი ბავშვი.

აფხაზეთში მუშაობენ პედაგოგიური ინსტიტუტი და პედაგოგიური სასწავლებლები, ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმები, მუსიკალური სასწავლებელი, მუსიკალური და საფერწლო სკოლები და სხვ. სოხუმში მუშაობს სახელმწიფო დრამატული თეატრი, სახელმწიფო ფილარმონია.

რესპუბლიკაში გამოდის რამდენიმე საოლქო და რაიონული გაზეთი აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე. დიდად განვითარდა აფხაზური ლიტერატურა. აფხაზურ ენაზე გამოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრული ჟურნალი „ალაშარა“. ნაყოფიერად მუშაობენ მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები.

აფხაზეთი გადაიქცა ჯანმრთელობის სრულიად საკავშირო კერად. მის თვალწარმტაც ზღვისპირა კურორტებზე: სოხუმში, გაგრაში, გუდაუთაში და სხვ. 47 სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი და პანსიონატია. გასულ წელს იქ ისვენებდა და მკურნალობდა ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან ჩამოსული 100 ათასზე მეტი მშრომელი.

ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგის განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების კიდევ უფრო ნათელი, ფართო პერსპექტივები დაუსახეს აფხაზეთს, ისევე როგორც მთელ ჩვენს დიად სამშობლოს, ახალი, მეექვსე ხუთწლედის დიდებულმა გეგმებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ მიიღო.

სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ ძმურ ოჯახში აფხაზ ხალხს, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანს, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მთელი ძალღონე მოახმაროს პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, შეიტანოს თავისი წვლილი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

მ. ბლაჟბა,

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი.

კ ო მ უ ნ ი კ ე

საბჭოთა კავშირ-ფინეთის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის პირველი სესია

მოსკოვში ა. წ. 17-25 თებერვალს, სსრ კავშირისა და ფინეთის რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირ-ფინეთის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის პირველი სესია.

საბჭოთა კავშირ-ფინეთის კომისიამ განიხილა ორივე ქვეყანას შორის 1956 წელს სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განხორციელების პროგრამა და ხელი მოაწერა ოქმს, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა ურთიერთვალდებულებებს მეცნიერებისა და ტექნიკის, სამრეწველო წარმოებისა და სოფლის მეურნეობის დარგში მიღწევების გასაცნობად.

ხელმოწერილი ოქმის შესაბამისად საბჭოთა ორგანიზაციები და დაწესებულებები 1956 წელს მიიღებენ ფინელ მეცნიერებსა და სპეციალისტებს, რათა გაეცნონ საბჭოთა მეცნიერების მიღწევები მათემატიკის, ფიზიკის, ელექტროტექნიკის, მერქნის ქიმიური ტექნოლოგიის, ენათმეცნიერების, არქეოლოგიისა და მედიცინის დარგში. ფინელი მეცნიერები და სპეციალისტები გაეცნობიან სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობას სატყეო და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობაში, ჰიდროელექტროსადგურებისა და ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობას, საშენ მასალათა წარმოებას, სოფლის მეურნეობის გაძღოლას, აგრეთვე სახელმწიფო არქივებისა და მუზეუმების დოკუმენტალურ მასალებს.

ფინელმა მეცნიერებმა და სპეციალისტებმა თანხმობა განაცხადეს წაიკითხონ სსრ კავშირში მოწსენებანი მეცნიერულ თემებზე.

საბჭოთა ორგანიზაციები დათანხმდნენ გადასცენ ფინეთის დაწესებულებებს მიკროფოტოპირები მათთვის საინტერესო დოკუმენტალური მასალებისა, რომლებიც შეეხება ფინეთის ისტორიას, აგრეთვე ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა წარმოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

ფინეთის ორგანიზაციები, დაწესებულებები და ფირმები 1956 წელს, ნაცვალგების პირობით, მიიღებენ და გააცნობენ საბჭოთა მეცნიერებსა და სპეციალისტებს სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოებს ხე-ტყის გადამამუშავებელ მრეწველობასა და გემთმშენებლობაში, აგრეთვე უახლეს მიღწევებს ხე-ტყის დამამზადებელი, ხე-ტყის სახერხი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, საშენი და საიზოლაციო მასალების წარმოებისა და სოფლის მეურნეობის დარგში.

საბჭოთა მეცნიერები და სპეციალისტები ფინეთში ყოფნის დროს წაიკითხავენ მოხსენებებს მეცნიერულ თემებზე ფინელი მეცნიერებისა და სპეციალისტებისათვის. მიმდინარე წლის ზაფხულში ფინელი და საბჭოთა მეცნიერები ბალტიის ზღვაში ერთად განახორციელებენ სამუშაოებს ოკეანოგრაფიის დარგში.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება მოიწვიოს 1956 წელს ფინელ პროფესორთა, მასწავლებელთა და სტუდენტთა ექსკურსიები სსრ კავშირში და საბჭოთა პროფესორების, მასწავლებლებისა და სტუდენტების ექსკურსიები ფინეთში სასწავლო ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების გასაცნობად.

სესიაზე განიხილეს და დაამტკიცეს დებულება საბჭოთა კავშირ-ფინეთის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის შესახებ.

სესიის ოქმს ხელს აწერენ: ფინეთის მხრივ — კომისიის ფინეთის ნაწილის თავმჯდომარე, სრულუფლებიანი მინისტრი პ. ი. ხიუნინენი; საბჭოთა კავშირის მხრივ — კომისიის საბჭოთა ნაწილის თავმჯდომარე სსრ კავშირის ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოადგილე მ. პ. სერდიუკოვი.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ ფინეთის მხრივ პროფესორი ედვარდ ვეგელიუსი, პროფესორი ნილს ვესტერმარკი, პროფესორი კუსტა ვილკუნი, ინჟინერი ტუროლიუ ლასინიუსი, დოქტორი ვაინო კაუკონენი; საბჭოთა კავშირის მხრივ სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ — ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი მოადგილე პროფესორი ა. ნ. ლავრენტიევი, გემთმშენებელი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ბ. ე. ბუტომა, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილე ქ. ვ. ნიკულინი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბ. ა. სერებრენიკოვი, ინჟინერი ვ. ს. სოლომკო, ინჟინერი ვ. პ. შეტროვი.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ფინეთის დელეგაციამ ინახულა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის ლენინის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო აკადემია, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიულ მეცნიერებათა განყოფილება, სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო ბიბლიოთეკა, ხე-ტყის ქიმიური ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, მერქნის მექანიკური დამუშავების ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, საყეო მრეწველობის მექანიზაციისა და ენერგეტიკის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, საბჭოთა ისტორიული მუზეუმი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომის ელექტროსადგური და სხვა დაწესებულებანი.

სესიის მუშაობა, აგრეთვე ფინელი და საბჭოთა მეცნიერებისა და სპეციალისტების შეკრებები და საუბრები მიმდინარეობდა მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა ფურცინბურღლების წარმოების ღიცენზიის გაყიდვის საკითხის გამო

იმის შესაბამისად, რომ ამერიკის კომპანია „დრესერ ინდუსტრიზმა“ გამოთქვა სურვილი შეიძინოს სსრ კავშირში ლიცენზია, რომლითაც უფლება მიეცემა აწარმოოს ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა კონსტრუქციის ტურბინბურღები ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების საბურღავად, აღნიშნულ საკითხზე 1956 წლის 17 თებერვლიდან 2 მარტამდე მოსკოვში მიმდინარეობდა მოლაპარაკება ამერიკის კომპანია „დრესერ ინდუსტრიზის“ ვიცე-პრეზიდენტ ბ-ნ ო'კონორსა და სრულიად საკავშირო გაერთიანება „მაშინოექსპორტს“ შორის.

ამ მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მეგობრულ და საქმიან ვითარებაში მიმდინარეობდა, 1956 წლის 2 მარტს ხელი მოაწერეს შეთანხმებას — მიეყიდოს ამ კომპანიას ლიცენზია, რომლითაც უფლება მიეცემა აწარმოოს კომპანია „დრესერ ინდუსტრიზის“ ქარხნებში საბჭოთა კონსტრუქციის ტურბინბურღები, რომლებიც იხმარება ნავთობისა და გაზის ჭაბურღილებს ბურღვისას.

ამ შეთანხმებით გათვალისწინებულია გადაეცეს კომპანია „დრესერ ინდუსტრიზს“ ტექნიკური დოკუმენტაცია, რაც საჭიროა საბჭოთა კონსტრუქციის ტურბინბურღების წარმოებისათვის, რომლებიც იხმარება ნავთობისა და გაზის ჭაბურღილებს ბურღვისას სხვადასხვა სიმაგრის ქანებში, აგრეთვე მივლინებულ იქნას ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა ინჟინრების ჯგუფი საცდელ ბურღვაში მონაწილეობისათვის.

კომპანია „დრესერ ინდუსტრიზი“ აღნიშნული ლიცენზიის ღირებულებას გადაიხდის იმით, რომ სრულიად საკავშირო გაერთიანებას „მაშინოექსპორტის“ სასარგებლოდ გადარიცხავს კომპანიის მიერ დამზადებულ და გაყიდული ტურბინბურღების, აგრეთვე მათ საბურღარიგო ნაწილების ღირებულების პროცენტებს.

გარდა ამისა, კომპანია „დრესერ ინდუსტრიზი“ სრულიად საკავშირო გაერთიანება „მაშინოექსპორტს“ გადასცემს ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების საბურღავი სატეხების დამზადების ტექნოლოგიას.

მხარეები აგრეთვე შეთანხმდნენ მიაწოდონ ერთმანეთს ინფორმაცია ყველა ახალი ცვლილების შესახებ, რომელიც შეტანილ იქნება ტურბინბურღების კონსტრუქციაში, რომლებიც გადაცემულია ლიცენზიით.

შეთანხმების მოქმედება ვადაა ათი წელი.

აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერა შესაძლებელია საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამეურნეო ორგანიზაციებსა და ამერიკის შეერთებული შტატების ფირმებს შორის უთანაბრთანხლესაყრელი ეკონომიური და საგარეო კავშირის განვითარების ინტერესებს.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტიუროსა — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, წერილების—3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვებლის—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77.70.

დ ღ ე ს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის—გედების ტბა (დილას), ჩიო ჩოსანი (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — დღესასწაული საკრეუელაში (დილას), ჩვენებურები (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ზავავი (დილა-საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — პირველი გაზაფხული (დილას), იასამნის ბაღი (საღამოს), **სომხური დრამის** — საიათნოვა (დილა-საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — საყვარელი დისშვილი (დილას), სალხინობელი (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—აჩაკუნე (აბონემენტი № 25, 12 ს.), კოკელი მეწისქვილე (აბონემენტი № 2, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ცისფერი და ვარდისფერი (11 ს. და 6 ს.), **თოჯინების ქართული**— ბალტი (11 ს.), ბაირი (2 ს.), **ფილარმონია** — ქართული ესტრადის მსახიობთა კონცერტი (სახსმთრო დარბაზში, 9 ს.), ო. პორხომენკოს კონცერტი (კონსერვატორიის დიდი დარბაზი, 9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, ვოროშილოვისა და პლეხანოვის სახელობის კლუბები — გაცრუებული ოცნებები, **კომკავშირელი, კოლხიდა, კიროვის სახელობის პარკი, ოფიცერთა სახლი** — ორი ოკეანის საიდუმლოება, **დიდუბე**— მისსამართის ძებნა, **კოლმეურნე** — ტახირი და ზუზრა, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — გაზაფხულის ჭირხლი, **კომუნარების ბაღი** — სიყვარულის ასაკი, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — ვატერლოოს ხიდი.

ბშობლები ლენა, პავლე, მეუღლე ანა, შვილები მიმოზა, მადონა, გულიდა, ეუეუენ., ძმა ალიოშა, და ლიდა ოჯახებით იუწყებიან

შოთა პავლეს-ძე ხარებავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-III ქ. ზუგდიდში. გამოსვენება რუსთაველის ქ. № 189.

შვილები ფორე, ალბერტ, რობერტ, მარიეკატერინე, ნუნუ, ქეთო, ძმები ვანო, გაბრიელ ოჯახებით იუწყებიან